შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№14 (10.070)

29 აპრილი-6 მაისი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

ისტორიული გამარჯვება სტრასბურგში

2008 წლის ომის საქმეზე საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ სტრასბურგის სასამართლოში მორიგი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ რუსეთს საქართველოსთვის, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ადამიანის უფლებების ევროპული კონვენციის დარღვევებისა და მოქალაქეებისთვის მიყენებული ზარალისთვის კომპენსაციის სახით 129 მილიონ ევროზე მეტის გადახდა დაკისრა.

სასამართლოს პრესრელიზში აღნიშნულია, რომ დიდი პალატის დღევანდელ გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველო რუსეთის წინააღმდეგ“ (II) (განცხადება №38263/08) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა სამართლიანი კომპენსაციის საკითხი (მუხლი 41). საქმე ეხებოდა საქართველოს მთავრობის ბრალდებებს რუსეთის ფედერაციის მხრიდან ადმინისტრაციულ პრაქტიკასთან დაკავშირებით, რომელიც იწვევს კონვენციის სხვადასხვა დარღვევას 2008 წლის აგვისტოში საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შეიარაღებულ კონფლიქტთან დაკავშირებით.

ადამიანის უფლებების ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივან მთავრობას სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს 3 250 000 ევრო არამატერიალური ზიანისთვის, რომელიც განიცადა სულ მცირე 50-მა მსხვერპლმა სამხრეთ ოსეთის ქართულ სოფლებსა და „ბუფერულ ზონაში“ სამოქალაქო პირების მკვლელობის ადმინისტრაციული პრაქტიკის შედეგად. მოპასუხე მთავრობამ არ შეასრულა პროცედურული ვალდებულება, ჩაეტარებინა ადეკვატური და ეფექტური გამოძიება ამ მკვლელობებზე.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივან მთავრობას სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს 2 697 500 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც ქართველი მშვიდობიანი მოქალაქეების არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და თვითნებური დაკავების ადმინისტრაციული პრაქტიკის შედეგად სულ მცირე 166 მსხვერპლმა განიცადა, რომლებიც 2008 წლის 10-27 აგვისტოს ცხინვალში ე.წ. „სამხრეთ ოსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს“ სარდაფში სამხრეთ ოსეთის ძალების მიერ იყვნენ დაკავებულები.

ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივან მთავრობას სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს 640 000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც განიცადა ქართველი ტყვეების წამების ადმინისტრაციული პრაქტიკის სულ მცირე 16-მა მსხვერპლმა 2008 წლის 8-27 აგვისტოს ცხინვალში.

დაბომბილი გორი, 2008 წელი

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს მომჩივან მთავრობას სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს 115 000 000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც განიცადა სულ მცირე 23 000-მა ადამიანმა ადმინისტრაციული პრაქტიკის შედეგად, რომელიც ქართველებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში თავიანთ სახლებში დაბრუნებაში უშლის ხელს.

ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფომ მომჩივან მთავრობას სამი თვის განმავლობაში უნდა გადაუხადოს 8 240 000 ევრო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც განიცადა მინიმუმ 412 მსხვერპლმა იმის გამო, რომ მოპასუხე მთავრობამ არ შეასრულა ვალდებულება, ჩაეტარებინა ადეკვატური და ეფექტური გამოძიება საომარი მოქმედებების აქტიურ ფაზაში მომხდარი გარდაცვალების შემთხვევების შესახებ.

პრესრელიზში განმარტებულია, რომ წინამდებარე საქმეზე ძირითადი გადაწყვეტილება 2021 წლის 21 იანვარს გამოიტანეს, რის შემდეგაც სასამართლომ განმცხადებელი მთავრობა და მოპასუხე მთავრობა მიიწვია, საქმეზე თავიანთი შენიშვნები წარედგინათ.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

ვადამდელი არჩევნები-პოლიტიკური არჩევანი?!

ქართული ოპოზიციური სპექტრის ერთი ნაწილი კვლავ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე ალაპარაკდა. იმ შემთხვევაში, თუ ქვეყანა კანდიდატის სტატუსზე უარს მიიღებს, ოპოზიცია არჩევნების მოთხოვნით საპროტესტო აქციებს აანონსებს. ვადამდელი არჩევნების საკითხი „განხეთქილების ვაშლად“ უკვე იქცა-ოპოზიცია ერთსულოვანი არც ამჯერადაა და მათ შორის კონსენსუსის მიღწევა ვერ ხერხდება.

გახდება თუ არა ვადამდელი არჩევნები ოპოზიციის პოლიტიკური არჩევანი, ამის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ექსპერტები ამბობენ, რომ ვადამდელი არჩევნები ოპოზიციისთვის წამგებიანი სვლა იქნება და ამ ნაბიჯითაც „ქართული ოცნება“ იხეირებს.

„ხალხს ეშინია ისევ არა წარსულის, არამედ მომავლის. არავის არა აქვს იმის გარანტია, რომ დავით კეზერაშვილი და ვანო მერაბიშვილი იგივეს არ იზამენ. ამ ხალხმა ქვეყანა როგორ უნდა მართოს, როცა პარტიაში ვერ მორიგებულან და ერთმანეთს ჭამენ. ეს შიში აქვს ხალხს. ამიტომ როგორც კი არჩევნებში ეს ორი ძალა ერთმანეთის პირისპირ დადგება, ის ჩამოუყალიბებელი ამომრჩეველი ისევ ხელისუფლებისკენ გაიქცევა, და „ოცნება“ მე-4 ვადით ხელისუფლებაში ისევ მოსვლას შეძლებს“, - ამბობს ძაბირაძე. როგორც ჩანს, „ნაციონალურ მოძრაობაში“ რიგგარეშე არჩევნებს სერიოზულად განიხილავენ და ფიქრობენ, რომ თუკი ქვეყანას კანდიდატის სტატუსს არ მისცემენ, „ოცნება“ ხელისუფლებიდან დაუყოვნებლივ უნდა წავიდეს. კობა ნაყოფიას ეჭვიც არ ეპარება, რომ თუ საქართველო სტატუსს ვერ მიიღებს, ვადამდელი არჩევნები იქნება, ხოლო **„ოპოზიცია უნდა იყოს მზად და სტრატეგიულ საკითხებზე შეთანხმებული“.**

კობა ნაყოფიას განცხადება მთავარ პოლიტიკურ თემად იქცა. ხელისუფლების ოპონენტების ნაწილი შიშობს, „ოცნება“ რომც წავიდეს, ოპოზიცია რაიმეზე შეთანხმებას ვერ მოახერხებს. ხალხს ეშინია უკან „ნაციონალების“ დაბრუნების, რადგან ქვეყანა შესაძლოა ამაზე უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდეს. ამიტომაც ნაყოფიას განცხადება არასწორია, რადგან ხვალ რომ არჩევნები დაინიშნოს, 5%-იან ბარიერს მხოლოდ ენმ და „ოცნება“ გადალახავს. ამიტომ რეალურად რიგგარეშე არჩევები ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს არ უნდა სურდეს. ვადამდელ არჩევნებზე „ნაციონალური მოძრაობის“ გენერალური მდივანი პეტრე ცისკარიშვილიც საუბრობს. **„რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის, რომ ჩვენ სტატუსი ვერ მივიღოთ. სტატუსს როდესაც ვერ მივიღებთ, იმ პოლიტიკურ რეალობაში რომ ვცხოვრობთ, როდესაც ჩვენი მოსახლეობის 90 პროცენტი ევროპისკენ სულით და გულით მიისწრაფვის და ევროპას უკავშირებს ოჯახის და შვილების მომავალს, რა თქმა უნდა, იქნება სახალხო, საჯარო მოთხოვნა ვადამდელ არჩევნებზე,“** - აცხადებს ცისკარიშვილი.

განსხვავებული დამოკიდებულება აქვს საპარლამენტო ფრაქცია „რეფორმების ჯგუფის“ თავმჯდომარეს. **„არ ვეთანხმები არცერთ ჩემს კოლეგას ოპოზიციიდან, ვინც საუბრობს რიგგარეშე არჩევნებზე, ან საზოგადოებაში აღვიძებს განცდას, თითქოს ამ ქვეყანას არ ექნება კანდიდატის სტატუსი არავითარ შემთხვევაში. ჯერ კიდევ არის პუნქტების შესრულების დრო, დღეს რიგგარეშე არჩევნებზე საუბარი მგონია სერიოზული პოლიტიკური შეცდომა,“** - აცხადებს ხათუნა სამნიძე. პარლამენტის წევრი, პარტიის „საქართველოსთვის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი ბექა ლილუაშვილი ამბობს, რომ ვადამდელ არჩევნებთან დაკავშირებით, ოპოზიციის წევრების ნაწილის განცხადება ბევრ კითხვას ბადებს. **„რიგგარეშე არჩევნების ასე უბრალოდ მოლოდინების შექმნა, არ მგონია სწორი. კითხვის ნიშნებია ხოლმე, როდესაც გვესმის ვადამდელზე მოწოდება. რა სისტემით უნდა ჩატარდეს, ისევ მაჟორიტარული სისტემით? ახლა რომც ჩატარდეს ვადამდელი, ამავდროულად, კონსტიტუციაში არის ჩანაწერი, რომ 2024 წელს მაინც უნდა ჩატარდეს ისევ არჩევნები. ბევრი კითხვის ნიშანი დაისმის. ვფიქრობ, თუ ვადამდელი არჩევნები ჩატარდება, ეს დიდი პოლიტიკური შეთანხმების ნაწილი უნდა იყოს,“** - განაცხადა ლილუაშვილმა.

„დესტაბილიზაციის მუხტის მიღების მცდელობა“ - ასე აფასებს უმრავლესობა კობა ნაყოფიას განცხადებას ვადამდელ არჩევნებზე. მმართველი გუნდი ამბობს, რომ „რადიკალურ ოპოზიციას“ არ უნდა კანდიდატის სტატუსის მიღება, რადგან ქვეყანაში არეულობის და ქაოსის მოწყობა სურს და რევოლუციურ სცენარს განიხილავს. **„დღევანდელ ოპოზიციას არ აქვს არანაირი შანსი ელექტორალური კუთხით, რომ მათ არჩევნებში გამარჯვებას მიაღწიონ. ერთადერთ ხსნას ხელისუფლებაში დაბრუნებისა ხედავენ სწორედ გარკვეული რევოლუციური სცენარის განხორციელებაში. ფიქრობენ, რომ ამ მღვრიე წყალში შესაძლებელი იქნება გარკვეული წარმატების მიღწევა. მოძებნიან ყველა საბაბს, რომ ქვეყანაში მშვიდი პოლიტიკური ვითარება არ იყოს,“** - აცხადებს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი ქადაგიშვილი“.

ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე კი ამბობს, რომ ყველა კვლევის მიხედვით, ხვალ რომ არჩევნები დაინიშნოს, 5%-იან ბარიერს მხოლოდ ორი პარტია, „ნაციონალური მოძრაობა“ და „ქართული ოცნება“ გადალახავს. ამიტომ მისთვის გაუგებარია, რატომ შეიძლება ოპოზიციის სხვა ნაწილს რიგგარეშე არჩევნების დანიშვნა ანყობდეს.

ნორჩ ჟურნალისტთა კლუბის წევრები გაზეთის რედაქციაში

26 აპრილს, დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ნორჩ ჟურნალისტთა კლუბ „ახალი თაობის“ წევრები, კლუბის კურატორ მასწავლებელთან ლია ქადაგიძესთან ერთად, გაზეთ „შირაქის“ რედაქციას ესტუმრნენ.

კლუბის წევრები: **ბოსტაშვილი მარიამი, ლაპიაშვილი სალომე, ნატროშვილო სალომე, ქადაგიშვილი მარიამ, კირკიტაძე თიკა, პაპუაშვილი ნინი, ხარაზიშვილი ნიკოლოზი, ყაჭაშვილი ნიკოლოზი** ახლოდან გაეცნენ გაზეთის მუშაობის სპეციფიკას, ჟურნალისტური პროდუქტის შექმნის პროცესს, ჟურნალისტიკის სტანდარტებსა და ეთიკურ ნორმებს. სკოლის მოსწავლეებმა დიდი ინტერესი გამოხატეს გაზეთის სამუშაო პროცესის მიმართ, შესაბამისად შეხვედრა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. მოსწავლეებმა ასევე დაათვალიერეს გაზეთ „შირაქის“ არქივი, რომელიც 1940-იანი წლებიდან დღემდე არსებულ მასალებს ინახავს.

შეგახსენებთ, რომ 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან დედოფლისწყაროს პირველ საჯარო სკოლაში ფუნქციონირება დაიწყო ნორჩ ჟურნალისტთა კლუბმა, რომელიც გათვლილია საბაზო-საშუალო საფეხურის კლასების იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ოცნებობენ გახდნენ ჟურნალისტები (ან უბრალოდ აინტერესებთ ეს საქმიანობა). ისინი შეძლებენ საინტერესო სიუჟეტის ან გადაცემის მომზადებას.

კლუბის წარმომადგნელების განცხადებით, „კლუბის ინიციატივით განხორციელებული აქტივობები დაეხმარებათ ისეთი ახალი თვისებებისა და უნარის აღმოჩენაში როგორიცაა: კომუნიკაციის, დროის მართვის, საქმის გონივრულად გადანაწილების, ემოციის, ენერგიის მართვის, კრიტიკული, ანალიტიკური და შემოქმედებითი აზროვნების ჩამოყალიბებაში. მორცხვი და გაუბედავი ბავშვები თამამი, თავდაჯერებულები და ორგანიზებულები გახდებიან, კლუბი იმუშავებს

ყოველი სასწავლო კვირის ერთ შერჩეულ დღეს და დაეთმობა ერთი საგაკვეთილო საათი. სამოქმედო პროგრამის, გარდა წარმოდგენილი მცირე ჩამონათვლისა, ბავშვების ინტერესებისა და ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შედგება“.

გაზეთი „შირაქი“ წარმატებებს უსურვებს და მადლობას უხდის პირველი საჯარო სკოლის ნორჩ ჟურნალისტთა კლუბს ამ პროფესიით დაინტერესებისთვის და მზადაა მათთან სამომავლო თანამშრომლობისთვის.

ჟუჟუნა ყანჩაშვილი

სპორტულ-ინტელექტუალური ღონისძიებები გაიმართა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარესთან, მიხეილ ბახუტაშვილთან და ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი და სკოლის გარეშე სააღმზრდელო ცენტრის დირექტორთან, ირმა ჯანაშვილთან ერთად ქ. დედოფლისწყაროს N3 საბავშვო ბაღში სპორტულ-ინტელექტუალურ ღონისძიებას დაესწრო.

ინტელექტუალურ და სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა ქ. დედოფლისწყაროს N 1, N2 და N3 საბავშვო ბაგა-ბაღების აღსაზრდელებმა მიიღეს. ღონისძიების ბოლოს მონაწილეებს თავის ღირსეულად წარმოჩენისათვის სიგელები და სამახსოვრო საჩუქრები გადაეცათ.

სპორტულ-ინტელექტუალური ღონისძიებები გრძელდება და მასში მონაწილეობას მუნიციპალიტეტის ყველა სააღმზრდელო დაწესებულება მიიღებს.

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვების მკურნალობა სრულად დაფინანსდება

პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, 300 ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვის მკურნალობა სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსდება. საუბარია თანამედროვე სტანდარტების, მაღალტექნოლოგიური აპარატურით აღჭურვილ დაწესებულებებზე, სადაც ერთ სივრცეში იქნება სამედიცინო სერვისების სრული სპექტრი, როგორც დიაგნოსტიკური, ისე - სამკურნალო მიმართულებით.

აღსანიშნავია, რომ ონკოლოგიურ პაციენტებს, შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ ისეთი მნიშვნელოვანი, ძვირადღირებული და მაღალტექნოლოგიური სამედიცინო სერვისიც, როგორიც პროტონოთერაპიაა.

აღნიშნულ საკითხზე, ჯანდაცვის სამინისტროს უკვე დაწყებული აქვს საერთაშორისო ბაზრის კვლევა, იმისთვის, რომ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა ამ მიმართულებით გამოხატონ ინტერესი.

ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, **თამარ გაბუნიას** განცხადებით, მოდელი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამედიცინო მომსახურების ხარისხს.

„ბავშვთა ონკოლოგია დიდი ხანია სამინისტროს პრიორიტეტია. გასულ წელს დაიწყო აქტიური თანამშრომლობა ისრაელის იხილოვის კლინიკასთან და თურქეთის სამედიცინო კლინიკასთან, ასევე ესპანეთთან. ამ ეტაპზე, პროექტის შემუშავება პრაქტიკულად დასრულებულია. ყოველწლიურად, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ 150-მდე ბავშვს უდგინდება ავთვისებიანი სიმსივნის დიაგნოზი.

ბავშვებისთვის მაღალი ხარისხის თანამედროვე სერვისების შეთავაზება, მოგეხსენებათ, რამდენად მნიშვნელოვანია. ამდენად, ეს პროექტი, რომელიც სამინისტრომ მოამზადა, გახლავთ უცხოეთის კლინიკებთან თანამშრომლობით ყველა ბავშვისთვის და ითვალისწინებს იმ შესაძლებლობის შექმნას, რომ მათ სრულად მიიღონ სამედიცინო სერვისები, უახლესი თანამედროვე მაღალტექნოლოგიური საშუალებებით, მათ შორისაა პროტონოთერაპია.

პროექტი ითვალისწინებს ასევე, რობოტული ტექნიკის გამოყენებით ქირურგიული ჩარევების წარმოებას და სხვა ინტერვენციებს, რაც მათი სიცოცხლის გადარჩენის საშუალებას მოგვცემს. ამას დასჭირდება დამატებითი სერვისი, თუმცა ეს სერვისი იქნება ხსნა იმ ბავშვებისთვის, ვისაც დღეს ეს ძალიან სჭირდება.

საუბარია წელიწადში დაახლოებით 300 ბავშვზე. ეს არის 150 ახალი შემთხვევა და ის ბავშვები, ვისაც უკვე დიაგნოსტირებული აქვთ ონკოლოგიური დაავადებები. ვფიქრობთ, ეს მოდელი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც გამოსავლებს, ასევე მიმდინარე პერიოდში სამედიცინო მომსახურების ხარისხს. აქვე იქნება მუშაობა საქართველოში ონკოლოგიური სერვისების განვითარებაზე და ის პარტნიორი კლინიკები, რომლებიც შეირჩნენ პროგრამაში მონაწილეობისთვის გარკვეული კრიტერიუმების საფუძველზე, დაგვეხმარებიან ადგილზე, ქართველი ექიმების მომზადებაში და სამომავლოდ სერვისის გაძლიერებაში“,-აღნიშნულის შესახებ თამარ გაბუნიამ განაცხადა.

საზღვარგარეთ ბავშვების დიაგნოსტირებისა და მკურნალობის ბიუჯეტი უკვე დამტკიცებულია. შედეგად, ონკოლოგიური დიაგნოზის მქონე ბავშვებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ მაღალი ხარისხისა და სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

მზის მაქსიმუმი ახლოვდება – რას ნიშნავს ეს მოვლენა და რა უნდა ვიცოდეთ

ახლოს ვართ მზის მომდევნო მაქსიმუმთან, რომელიც 2025 წელს დაიწყება.

მზის მაქსიმუმი წარმოადგენს მზის აქტივობის პიკს, როდესაც ჩვენი მზის მაგნიტური ველი თავის უძლიერეს, ყველაზე მოუწესრიგებელ და დინამიკურ წერტილს აღწევს.

მზის ასეთმა გაზრდილმა აქტივობამ შეიძლება გამოიწვიოს ექსტრემალური კოსმოსური ამინდი, მათ შორის, მზის ანთებები და ამოფრქვევები. ასევე შეუძლია ხელი შეუშალოს რადიოკომუნიკაციებს და ელექტროსისტემებს, სერიოზული ზიანი მიაყენოს ასტრონავტთა ჯანმრთელობას.

საფრთხეს უპირველესად წარმოადგენს ფართომასშტაბიანი ინფრასტრუქტურისთვის. ინდივიდუალურ დონეზე, ადამიანები მზის მაქსიმუმის ეფექტებს პირდაპირ თითქმის ვერ ხედავენ.

მზის შემდეგი მაქსიმუმი სავარაუდოდ წინაზე ძლიერი იქნება. როგორც წესი, მზის ციკლი 11 წელიწადს გრძელდება და მზის მაქსიმუმი ყოველი ციკლის სადღაც შუაში დგება.

მზის ბოლო მაქსიმუმი 2012-2014 წლებში იდგა და განსაკუთრებით სუსტი იყო, ერთ-ერთი ყველაზე პატარა ბოლო ასი წლის განმავლობაში. შედეგად, კოსმოსური ამინდიც საკმაოდ მშვიდი იყო.

სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოველთვიური დახმარება იზრდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით 2023 წლის 1 ივლისიდან, სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოველთვიური დახმარება იზრდება და ისინი 150 ლარის ნაცვლად 200 ლარს მიიღებენ.

აღნიშნული ფულადი დანამატის მიმღები არის 16 წლამდე სოციალურად დაუცველი ბავშვი, რომლის ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000 ქულას.

პროგრამის ბიუჯეტი 465 მილიონი ლარია. გაზრდილ დახმარებას დაახლოებით 232 000-მდე ბავშვი მიიღებს

გავუფრთხილდეთ დედამიწას და ადამიანებს

1970 წლის 22 აპრილს დედამიწის მსოფლიო დღე დაარსდა დედამიწის დასაცავად. „დედამიწის დღე“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომელშიც ყოველ წელს მსოფლიოს 175 ქვეყნის 20000-მდე ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე იღებს მონაწილეობას დედამიწაზე საკუთარი გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

საქართველოში „დედამიწის დღე“ პირველად 1990 წელს აღინიშნა, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით და მას შემდეგ ყოველწლიურად ამ ღონისძიებას უერთდება მრავალი ორგანიზაცია და მოხალისე, რომლებიც ახორციელებენ სხვადასხვა ტიპის გარემოსდაცვით საქმიანობას მთელი ქვეყნის მასშტაბით. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის წითელი ჯვრის ორგანიზაცია და მისი ხელმძღვანელი, **ნათელა თამაზაშვილი** 22 აპრილს მოხალისეთა ჯგუფთან ერთად, რომელსაც თავის მხრივ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა უფროსის მოადგილე **გიორგი ცისკარაული** სპორტის ცენტრისა და წითელი ჯვრის ახალგაზრდა მოხალისეებთან ერთად ხელმძღვანელობდა, ჩაუდგნენ გარემოსდაცვით ღონისძიებას სათავეში

და დედოფლისწყაროს ცენტრალური ქუჩები-წითელი ჯვრის, სათნოების სახლის, გაზეთის რედაქციის, მერიის, პოლიციისა და კულტურის სახლის მიმდებარე ქუჩები და ეზოები დაასუფთავეს. ამით მათ წვლილი შეიტანეს „დედამიწის დღის“ არსებობის მთავარ იდეაში- „გავუფრთხილდეთ გარემოს, რადგან დედამიწა ჩვენი სახლია“.

სულ რამოდენიმე დღის წინ კი, დედოფლისწყაროს წითელი ჯვრის ფილიალის ექიმები საქველმოქმედო მისიით იმყოფებოდნენ ახალქალაქის ორ სოფელში-ზაგბასა და ვაჩიანში, სადაც მოსახლეობას ხელი არ მიუწვდებათ სამედიცინო მომსახურებაზე. ორი სოფლის მოსახლეობის დიდ ნაწილს, 125 ადამიანს ჩაუტარდა ადგილზე კვლევა შესაბამისი აღჭურვილობის მქონე აპარატურით, მათ შორის- ექოსკოპიური, კარდიოლოგიური, თერაპიული, გინეკოლოგიური და ლაბორატორიული კვლევები სრულიად უფასოდ და მოთხოვნის შესაბამისად. მოსახლეობის ნაწილს ექიმებმა კვლევისას აღმოუჩინეს სხვადასხვა დაავადებები, რომლის შესახებაც არ იცოდნენ გამოკვლეულმა პირებმა და მათ სასწრაფოდ მიეცათ სამედიცინო შეფასებები და რეკომენდაციები შემდგომი მკურნალობის გასაგრძელებლად. როგორც ქალბატონი ნათელა გაზეთ „შირაქთან“ საუბარში აღნიშნავს, მათ მომდევნო თვეშიც უკვე დაგეგმილი აქვთ აქციები სხვადასხვა რაიონებში, რაც შეეხება ჩვენს მუნუიციპალიტეტს, აქ მუდამ , ნებისმიერ დღეს კარი ღიაა დედოფლისწყაროში მცხოვრები თითოეული მოქალაქისთვის და გრაფიკის მიხედვით სოფლებშიც აქვთ საქველმოქმედო აქციები- მოსახლეობის გასინჯვა იქნება ეს თუ სხვა ჰუმანიტარული სახის აქცია.

ესაუბრა
ელზა ხარაშვილი

„ო, ენავ ჩემო...“

გრამატიკა გვასწავლის: „ქართული ენა დიდი იტორიის მქონე უმდიდრესი და უაღრესად განვითარებული ენაა..“

ჭეშმარიტად, მწამს და ყოველწლირად ცვდილობდი და, ვცდილობ ამჟამადაც მის სიღმეში წვდომას. უკვდავი ვაჟას თქმით: „გულს მისვენია ხატადა ენა – მთისა და ბარისაო!“... ან კი, შეიძლება მთისა და ბარის ენის გაყოფა?! რა თქმა უნდა არა, რადგან, ჩვენი ენა ხომ ნაზავია ორივესი, იგი ხომ ისედაც მცირე ერის- ქართველების მშობლიური საფიცარი ენაა, მისი წარსული აწყმო და მომავალია; საყრდენი ერის ეროვნულობის დუღაბი, მამულთან და სარწმუნოებასთან...

მსოფლიო ენათა შორის, სიამაყით შეიძლება ვთქვა, რომ ჩვენი ენა ერთ-ერთი „სპეკალია“, რომელიც ანათებს ყოველგვარ სიბნელეს, შეუძლია ყოველგვარი აზრის ზუსტად და ლაკონურად გადმოცემა; სწორედ ამიტომ ყველა ქართველის ვალია მისი სიწმინდის დაცვა. მე წინააღმდეგი არა ვარ სხვა ენების შესწავლის, მაგრამ : „მშობლიურია მთავარი“. უამრავი დევნა, ვაება და ამოძირკვის მცდელობა გამოუვლია ჩვენს ერს. თავის სამშობლოშივე უკრძალავდა ქართული ენით მეტყველებას, თუმცა იზრდებოდა და მდიდრდებოდა „მტრის ჯინაზე“... სწორედაც, რადგან ის ჩვენი ნიჭია, ფრენაა, სუნთქვის დიდი მალამოა, დუღაბია ქართველობის.

ირაკლი აბაშიძის თქმით:

„თუ რა მზე მწამდა,
თუ რა მზე მწვავდა
უტკბილეს დღეთა, უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ ენავ დედაო
შენ მწარე ლხინო, ტკბილო სევდაო!“

დიახ, ის წარსულის ძეგლიცაა წინ გამხედავიც, აკვნის ჰიმნი და თამარის ენა.

ქართველი კაცი სიცოცხლის ფასად იცავს მშობლიურ ენას, ამის მაგალითი, ანუ მწარე წარსული შეიძლება გავიხსენოთ 1978 წელი, როცა საბჭოთა რუსეთმა ჩვენს მშობლიურ ენად რუსული ენის ჩაწერა მოისურვა.

დაიქუხა საქრათველომ, ფეხზე დადგა ერი და ბერი... არ მისცეს ამის საშუალება.

„იქნებ გგონიათ, დადუმდეს ენა,
ვერ შეესწრებით, არა და ვერა“.-

დაიქუხა სრულიად საქართველომ მიხეილ ქვლივიძის გულიდან ამომდინარი სიტყვები...

სწორედაც:

„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ...
შენ ერთს, შენ ვერ გთმობ სამარის კართან“.
(ი.აბაშიძე)

მრავალჟამიერ, ჩვენო საყვარელო, „ღმერთების ენავ!“.

გულნარა ტვილდიანი,
ქვემო ქედის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

„საქართველოს ბუნება საფრთხეშია“

ოზაანის საჯარო სკოლის მე-5 კლასში ჩატარდა შემაჯამებელი გაკვეთილი თემაზე - „საქართველოს ბუნება საფრთხეშია“.

გაკვეთილის მიზანი იყო, მოსწავლეებს უკეთ გაეცნოთ საქართველოში არსებული დაცული ტერიტორიები, ესაუბრათ მათ მნიშვნელობაზე და ემსჯელათ ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების მიზნით შექმნილ „საქართველოს წითელი წიგნის“ შესახებ. პრეზანტაციისას თითოეულმა მოსწავლემ საკუთარი ხელით დამზადებული „მინი წითელი წიგნები“ წარმოადგინა. თითოეულმა მათგანმა ვრცლად ისაუბრა დაცული ტერიტორიების შესახებ.

მაია თევზაძე (კლასის დამრიგებელი, ბიოლოგიის პედაგოგი): „სრულიად განსხვავებული თემის შესწავლამ ბავშვებში დიდი ინტერესი გამოიწვია. მე-5 კლასის მოსწავლეებმა საკუთარი ხელით დაამზადეს „მინი წითელი წიგნები“, სადაც შეტანილი ქონდათ საქართველოს ცხოველთა და მცენარეთა ზოგიერთი ის სახეობები, რომელთაც გადაშენება ემუქრებათ. მოიძიეს მათ შესახებ ინფორმაციები, გააფორმეს ილუსტრაციებით, პრეზენტაციისას თითოეულმა მოსწავლემ თავის „მინი წითელ წიგნთან“ ერთად გაგვაცნო და „გვამოგზაურა“ სხვადასხვა დაცულ ტერიტორიაზე, გაგვაცნო იქ არსებული ფლორა და ფაუნა. პრეზენტაციის მიზანი იყო, გაეთავისებინათ ბავშვებს, საქართველოს ბუნება რომ საფრთხეშია და რომ საქართველოში ბიომრავალფეროვნებაზე მოქმედი საფრთხეებიდან აღსანიშნავია ბრაკონიერობა, ტყის მასივების გაჩეხვა, გადაჭარვებული ძოვება, მდინარეების და ტბების დაბინძურება და სხვა.

პრეზენტაციის ბოლოს დაიგეგმა ექსკურსია დედოფლისწყაროში, ვაშლოვანის ეროვნული პარკის შესახებ უფრო მეტი ინფორმაციის მისაღებად, რომელსაც იმედია მოკლე ხანში განვახორციელებთ.

ფსიქოტროპული აფთიაქი დედოფლისწყაროში გაიხსნება

სპეციალიზირებული ფსიქოტროპული მედიკამენტების შეძენა სულ მალე დედოფლისწყაროში იქნება შესაძლებელი. ადგილობრივ პაციენტებს ამ დრომდე მათთვის განკუთვნილი მედიკამენტების შეძენა მეზობელ რაიონებში უწევთ, რის გამოც დამატებითი დროისა და რესურსის დახარჯვა უწევთ.

როგორც გაზეთმა „შირაქმა“ გაარკვია, ფსიქოტროპული აფთიაქის გახსნა დედოფლისწყაროს ახლადაშენებული საავადმყოფოს ტერიტორიაზე იგეგმება. ეს კი მოსახლეობას ყოფას კიდევ უფრო გაუადვილებს.

„ბოლო წლებში მამაჩემს დაუნიშნეს ფსიქოტროპული წამლები. მანამდე ვერ ვერკვეოდით, მაგრამ, როცა ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით, გაირკვა, რომ მარტივი არ იყო შეძენა. ამის გამო მერამდენე წელია მეზობელ რაიონებში გვიხდება პერიოდულად სიარული და სპეციალური პრეპარატების მომარაგება. ეს ხარჯსაც ზრდის და დამატებით დროსაც მოითხოვს. ამას ემატება სეზონურად მეტეოროლოგიური პირობები. კარგია, თუ ასეთი საჭიროების მქონე ადამიანებს ამ ბარიერების გარეშე, ჩვენსავე რაიონში შეეძლებათ ასეთი აფთიაქით სარგებლობა. მოუთმენლად დავუცდით,“ - აღნიშნავენ ერთ-ერთი პაციენტის ოჯახში.

სამრეკლოში ახალი ბაღი აშენდება

მუნიციპალური განვითარების ფონდმა ქვეყნის მასშტაბით ახალი საბავშო ბაღების მშენებლობისთვის ამ დროისთვის უკვე 69 ტენდერი გამოაცხადა. ამ ტენდერებით საერთო ჯამში 140 ახალი საბავშვო ბაღი უნდა აშენდეს, რომლებიც 11 ათას ბავშვს მოემსახურება. მათ შორისაა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ტენდერების საერთო ღირებულება 290 მილიონ ლარს შეადგენს, შესაბამისად, ერთი საშუალო საბავშვო ბაღის მშენებლობა ბიუჯეტს 2 მილიონი ლარი დაუჯდება.

კომპანიებთან ხელშეკრულებები **Design Build**-ის პირობებით გაფორმდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პრეტედენტებმა არქიტექტურული პროექტები მუნიციპალური განვითარების ფონდს თავად უნდა წარუდგინონ.

სატენდერო პირობების მიხედვით, თითოეულ შესყიდვაში კომპანიებმა უნდა დაადასტურონ, რომ შესრულებული აქვთ ტენდერის მთლიანი ღირებულების ტოლი ღირებულების რკინა-ბეტონის სამუშაოები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლაგში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო მაღაროში, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამრეკლოში და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ქალაქ საგარეჯოში 75 ბავშვზე გათვლილი საბავშვო ბაღები აშენდება, რაშიც ჯამში – 7,287,287 ლარია გათვალისწინებული.

სოფელ სამრეკლოს საბავშვო ბაღის მენეჯერი **მაკა ზურაშვილი** გაზეთ „შირაქს“ ეუბნება, რომ შენობის რეაბილიტაცია ბოლოს 5 წლის წინ განხორციელდა, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა.

„არასტანდარტული შენობაა, არატიპურია და მისი ძირეული რეაბილიტაცია არ ჩატარებულა. შესაბამისად, დადგა უსაფრთხო და სტანდარტების შესაბამისი საგანმანათლებლო სივრცის არსებობის საკითხი. საუბარი გვაქვს ახალი შენობის აშენებაზე. არ ვიცი, რა ტერიტორიაზე აშენდება ის. დანარჩენ დეტალებზე არ მინდა საუბარი, ხელმძღვანელობა გვყავს და მათ გაესაუბრეთ, მე ვერაფერს გეტყვით,“ – აღნიშნა მაკა ზურაშვილმა.

სოფელ სამრეკლოში მერის რწმუნებულმა **ოთარ ნასრაშვილმა** „შირაქს“ განუცხადა, რომ ახალი საბავშვო ბაღის ასაშენებლად რამდენიმე ადგილი განიხილება და საბოლოო გადაწყვეტილება სულ მალე გახდება ცნობილი: „მშენებლობისთვის რამდენიმე ვარიანტი განიხილება, შესაძლოა პროფესიული სასწავლებლის ტერიტორიაზე აშენდეს, შესაძლოა ყოფილი სკოლის ტერიტორიაზე, რომლის შენობაც რამდენიმე წლის წინ დაიწვა. დაზუსტებით ჯერ არაფრის თქმა შემიძლია,“ – აღნიშნავს ნასრაშვილი.

ილია მარტყოფლიშვილი

ბლოგინგი – როგორც მომავლის პროფესია

„იპოვე საქმე, რომელიც გიყვარს და არც ერთი დღე აღარ მოგიწევს მუშაობა!“ - ერთი შეხედვით მარტივი ფრაზაა, მის სინამდვილეში ეჭვის შეტანაც გაგიჭირდებათ, მაგრამ როგორ უნდა იპოვნოს ადამიანმა საყვარელი საქმე ან მომავალი პროფესია, როდესაც ის ჯერ ძიების პროცესშია და ამაში გასარკვევად დრო ჯერ კიდევ წინაა?

21-ე საუკუნე სავსეა გამოწვევებით, სიახლეებით, უამრავი ახალი პროფესია გაჩნდა, ძველმა საქმიანობებმა ცვლილებები განიცადეს, ამიტომ, გადაწყვეტილების მისაღებად, ვინ გინდა გამოხვიდე, პირველ რიგში უნდა იპოვო გზა, სტრატეგია, შენს მომავალ პროფესიამდე. საქართველოში ბოლო წლის განმავ-



ლობაში სოციალური მედია, მათ შორის ბლოგინგი, ნელ-ნელა ძალას იკრებს და ვითარდება. ქართული ბლოგების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. ზოგადად ინტერნეტი კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დემოკრატიული სივრცეა. აქედან გამომდინარე არც არის გასაკვირი, რომ მსოფლიოს წამყვანი ჟურნალისტებიდან დაწყებული რიგით ადამიანებით დამთავრებული ინფორმაციის ორმხრივი გაცვლისთვის აქტიურად იყენებენ ბლოგ-სივრცეს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოში ბოლო პერიოდში ბლოგინგით ჩვეულებრივი მომხმარებლების გარდა, რამდენიმე პროგრესული მედია-საშუალებაც დაინტერესდა. ეს საკმაოდ კარგი ხერხია ნებისმიერი ჟურნალისტისთვის ან მედია-გამოცემისთვის საკუთარი მკითხველებისგან შემდგარ ფართო აუდიტორიასთან გახსნილად ისაუბროს ნებისმიერ თემაზე, გაცვალოს ინფორმაცია, ჩაერთოს დისკუსიაში და ა.შ. წარმატებით გამოყენება შესაძლებელია ბიზნეს სფეროში, ასევე ტურიზმის განვითარების მიმართულებით.

გაეროს ერთობლივი პროგრამის „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ დაფინანსებით მიმდინარე პროექტის „ქალთა გაძლიერება ცვლილებისათვის“ და ფონდი „პური მსოფლიოსთვის“ პროგრამის ფარგლებში, ქალთა და ახალგაზრდობის ცენტრ „არბოშიკის“ ახალგაზრდულმა საინიციატივო ჯგუფმა 22 აპრილს მორიგი საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრა გამართა, რომელიც 21-ე საუკუნეში ყველაზე გავრცელებულ პროფესიას ბლოგინგს და ბლოგერობას ეხებოდა.

შეხვედრაზე ბავშვებმა მიიღეს ინფორმაცია ბლოგინგის, როგორც პროფესიის, მისი მნიშვნელობისა და სამომავლო პერსპექტივების შესახებ. პროექტის „განათლებული თაობა-ძლიერი თემის“ ხელმძღვანელმა და პრეზენტატორმა **ჟუჟუნა ყანჩაშვილმა** აღნიშნა, რომ „ბოლო წლების განმავლობაში მთელ მსოფლიოში სოციალური მედია, განსაკუთრებით კი ბლოგინგი, ძალიან სწრაფი ტემპით ვითარდება. ეს პლატფორმა საკმაოდ კარგი ხერხია ნებისმიერი ადამიანისთვის, ფართო აუდიტორიასთან გახსნილად ისაუბროს ნებისმიერ თემაზე, გაცვალოს ინფორმაცია, ჩაერთოს დისკუსიაში და ა.შ. გარდა ამისა, ბლოგერი, რომელიც საკუთარ თავს პატივს სცემს, არასდროს გამოაქვეყნებს ცრუ ინფორმაციას, არ შეურაცხყოფს აუდიტორიას. იგი აცნობიერებს საკუთარი პასუხისმგებლობის დონეს. ამიტომაც, ბლოგერი ვალდებულია, დაიცვას კომპიუტერული ეთიკა და საყოველთაოდ მიღებული მორალის ნორმები“.

შეხვედრაზე ბავშვებმა ბლოგის მაგალითებიც ნახეს და შეაფასეს. ამასთანავე, მათ საკუთარი ბლოგსივრცის შექმნის სურვილიც გამოთქვეს, ადგილზე შექმნეს სასურველი ტექსტები და სამომავლოდ ბლოგების კონკურსისთვის მოსამზადებელი თემაც შეარჩიეს.

არბოშიკის ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფი მომავალშიც გააგრძელებს საგანმანათლებლო-შემეცნებითი შეხვედრების ჩატარებას და მათ ინფორმირებულობას უკეთესი, ძლიერი და განათლებული თემისთვის.

„მაქსიმალურად გამოიყენეთ დრო, ისწავლეთ რაღაც ახალი"

ახალგაზრდა გოგონა, რომელიც უნდა გაგაცნოთ, აბიტურიენტია. სკოლას ამთავრებს და ამ ქარცეცხლში და ქარტეხილებში მყოფმა მაინც მოახერხა ჩემთან გასაუბრება. გარდა ამისა, ის ხელსაქმითაცაა დაკავებული: ქსოვს არამარტო ხელნაკეთ და ეკოლოგიურად სუფთა სათამაშოებს, არამედ ტანსაცმელსაც, აკეთებს სხვადასხვა ფიგურებს, ქარგავს და ა.შ. გასულ კვირას, ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში გავეცანი მის შემოქმედებას, რომელმაც, გულახდილად გეტყვით, აღმაფრთოვანა. გაზეთი „შირაქი" როგორც ყოველთვის ასეთი ახალგაზრდების ფართო საზოგადოებისთვის გაცნობას ხელს უწყობს, ემსახურება და სწორედ ამიტომ, წარმოგიდგენთ ეთო ცხვედიაშვილს.

ეთო 17 წლისაა, სოფელ არბოშიკში, ამავე სოფლის სკოლაში მე-12 კლასში სწავლობს. თავისუფალ დროს მაქსიმალურად ცდილობს სპორტით დაკავდეს. თუმცა, უმეტესწილად მაინც სხვადასხვა ნივთებს, აქსესუარებს, ტანსაცმელს ქსოვს. კითხვაზე, თუ რატომ გადაწყვიტა ამ საქმეს მიჰყოლოდა და ამ მიმართულებით წასულიყო, გვპასუხობს:

– ბავშობიდან მქონდა მიდრეკილება და სურვილი შემესწავლა ხელსაქმე. დაახლოებით 10-12 წლის ასაკში დედას ვთხოვე ჩხირებით ქსოვა ესწავლებინა. ცოტა რომ წამოვიზარდე, თავად შევისწავლე ყაისნაღით ქსოვა და ამის შემდეგ ყოველდღიურად ვცდილობ რაღაც ახალი ვისწავლო. ჩემთვის ქსოვა, დროის გასაყვან საშუალებასთან ერთად, პარალელურად დამამშვიდებელ ფუნქციასაც ასრულებს. გარდა ამისა, ამ ყველაფერთან ერთად შემიძლია ჩემთვის სასურველი ნებისმიერი ნივთი, ტანსაცმელი თუ სათამაშო მოვქსოვო.

ფაქტია, რომ აბიტურიენტობა დროის ძალიან დიდ ნაწილს მოითხოვს და მასთან ერთად პარალელური საქმის კეთება, თითქმის შეუძლებელი ხდება. ხშირად, წარმოუდგენელიც კი. ეთოსთვის ხელსაქმეს სწავლაში პრობლემა არ შეუქმნია. პირიქით, მეცადინეობისგან გამოწვეულ დაღლას, სწორედ ხელსაქმით მკურნალობს. თუმცა, მომავალი პროფესია ხელსაქმესთან არაა დაკავშირებული.

- აბიტურიენტი ვარ და დროის სწორი მენეჯმენტის წყალობით, თავისუფლად მრჩება დრო ქსოვისთვის. ვცდილობ არც ერთი წუთი არ დავკარგო უქმად, შესაბამისად როდესაც მეცადინეობით ვიღლები, დასამშვიდებლად და დასასვენებლად, პირიქით, ქსოვას ვიწყებ. სამწუხაროდ, ჩემი მომავალი პროფესია (ფსიქოლოგობა) ხელსაქმესთან არაა დაკავშირებული, მაგრამ, მაინც ხელსაქმე, კონკრეტულად კი ქსოვა, ჩემი ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი იქნება.

– შენი აზრით, რა მთავარ უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს ადამიანი, რომ შეძლოს გარკვეული პროდუქტის შექმნა?

გარკვეული პროდუქტის შესაქმნელად მთავარია ელემენტარული ცოდნა, სურვილი და ამავე დროს მოთმინების უნარი, რომელიც საკმაოდ რთული გამოსამუშავებელია. ამ, ვიტყოდი, ძირითადი უნარ-ჩვევების გარეშე, ადამიანი უბრალოდ ვერ ისიამოვნებს შექმნის პროცესით და მხოლოდ ცუდი უკუკავშირი ექნება ხელსაქმისგან. ეს, კი ყველანაირ სიკეთეს გადასწონის, რაც ხელსაქმეს მოაქვს ადამიანისთვის.

ყველასთვის ცნობილია, რომ თითოეული ნივთის შექმნას გარკვეული დრო სჭირდება. ეთოს ვკითხე, ყველაზე დიდი დრო მის რომელ ნამუშევარს დასჭირდა და რატომ, გვპასუხობს:

- ყველაზე დიდი დრო პლედის მოქსოვას მოვანდომე, რომელიც საკმაოდ დიდი გამოვიდა - დაახლოებით 170 სანტიმეტრის სიგრძისა და 60 სანტიმეტრის სიგანის. პროდუქტის მოქსოვისთვის



საჭირო დრო დამოკიდებულია მის სიდიდეზე, რაც უფრო დიდი ზომისაა პროდუქტი, მით მეტი დრო სჭირდება მის მოქსოვას.

– ხომ არ ფიქრობ, ან ხომ არ გაქვს იდეა, შენი ეს საქმე შემოსავლის წყაროდაც აქციო? ანდაც საკუთარი სახელოსნო შექმნა და სხვასაც გაუზიარო ცოდნა და ახლა უკვე გამოცდილებაც?

– გულახდილად რომ ვთქვა, ბევრჯერ მიფიქრია ამ საკითხზე და საკუთარი თავისთვის მითქვამს: „რატომაც არა". მაქვს სურვილი ჩემი ახლანდელი საქმიანობა ჩემი შემოსავლის წყაროდ ვაქციო, სამწუხაროდ ამ ეტაპზე არ მაქვს საკმარისი დრო და რესურსები. რაც შეეხება საკუთარი სახელოსნოს გახსნასა და ჩემი გამოცდილების სხვებისთვის გაზიარებას, მიმაჩნია, რომ ჯერ-ჯერობით არ გამაჩნია საჭირო ცოდნა, მაგრამ არ გამოვრიცხავ,სამომავლოდ ყოველივე ამის განხორციელებას. მთავარი მონდომებაა და ყველაფერი შესაძლებელია.

– შენს სამომავლო გეგმებზეც რომ გვესაუბრო. რას აპირებ? გააგრძელებ თუ არა ამ საქმეს?

- იმდენად მომწონს და მსიამოვნებს ის საქმე, რომელსაც ვაკეთებ, რომ სამომავლოდ ნამდვილად ვაპირებ ქსოვის გაგრძელებას. იმედია, ერთ დღეს ის ჩემი შემოსავლის წყაროც გახდება. მომწონს ჩემთვის და ჩემი საყვარელი ადამიანებისთვის რაღაც ახალს რომ ვქმნი. იმედია, სამომავლოდ მექნება საშუალება, ცოდნა და გამოცდილება, რომ ის სხვებსაც გავუზიარო და ჩემი შექმნილი პროდუქცია დღის სინათლეზე გამოვიტანო.



ჩვენი საუბარი მომავალ თაობაზე კითხვით დასრულდა. ეთოს ვთხოვე, შეეფასებინა მისი თაობა. ის თუ, რამდენად ნაყოფიერად იყენებს დღევანდელი ახალგაზრდობა თავისუფალ დროს და რას ურჩევდა მათ ამ მიმართულებით:

-ჩემს თაობას იმაზე მეტის გაკეთება შეუძლია, ვიდრე წარმოუდგენია. ყველაფერი მათ ხელთაა. 21-ე საუკუნე და ინტერნეტ სამყარო ამოუწურავ შესაძლებლობებს გვაძლევს. ინტერნეტში უამრავი ინფორმაციაა ნებისმიერ, მათთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით. ვურჩევდი,რომ მაქსიმალურად გამოიყენონ თავიანთი დრო, რაღაც ახლისა და საინტერესო საქმის შესასწავლად.

შეუძლებელია ეთოს არ დაეთანხმო. 21-ე საუკუნე განუსაზღვრელ შესაძლებლობებსა და ასპარეზს აძლევს ახალ თაობას. ამ შანსის გამოყენება, მაქსიმალურად თუ არა, შეძლებისდგავარად მაინც უნდა შეძლონ მათ, რათა უკეთესი მომავალი შეუქმნან არამარტო საკუთარ თავს, არამედ მათ მშობლიურ კუთხეებსა თუ ქვეყანას. გამოიყენეთ დრო, არჩევანის საშუალება თქვენს ხელთაა!

ესაუბრა
ჟუჟუნა ყანჩაშვილი

არხილოსკალოდან რუმინეთში

არხილოსკალოელი დიანა წიკლაური ევროპის სოლიდარობის კორპუსის მოხალისე გახდა რუმინეთში. ის მასპინძელი ორგანიზაციის ახალგაზრდულ ინიციატივებში იქნება ჩართული. პროექტი სრულად დაფინანსებულია ევროპის სოლიდარობის კორპუსის მიერ. როგორც დიანამ გაზეთ „შირაქს" განუცხადა, მან კავკასიის უნივერსიტეტის სოციოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა. ის ცნობილი სახალხო მთქმელის, ივანე წიკლაურის შვილიშვილია.

დიანა წიკლაური: „ბითისი" ქართული ორგანიზაციაა, რომელსაც კავშირი აქვს სხვა უცხოურ ორგანიზაციებთან. მათი დამსახურებით ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვიყავი კვიპროსშიც, როგორც მოხალისე. ეს იყო მოკლევადიანი, 1 კვირიანი პროექტი. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ვგეგმავდი, გრძელვადიანი პროექტით სხვა ქვეყანაში გამეგრძელებინა სწავლა. რამდენიმე თვის განმავლობაში ვეძებდი სასურველ პროექტს და ბოლოს საუკეთესო ვარიანტი შევარჩიე. მივიღე გადაწყვეტილება 1 წლის ვადით წავსულიყავი რუმინეთში, რადგან ამ პროექტის მიზანი არის ის, რომელიც ძალიან წამადგება მომავალში. აქ ყოფნის განმავლობაში ვიქნები არაფორმალურ განათლებაში ჩართული. მექნება შესაძლებლობა ვიარო სკოლებში, ბაღებში და ჩავატარო აქტივობები.

რუმინეთში 6 აპრილს ჩამოვედი, ქვეყნაზე ჩემი პირველი შთაბეჭდილებები დაახლოებით იგივეა, რა მოლოდინიც მქონდა. საკმაოდ მშვიდი და წყნარი ქვეყანაა. დედაქალაქში არ ვარ, ერთ პატარა ქალაქში ჩამოვედი, რომელსაც გარშემო ლამაზი ბუნება აკრავს. ძალიან მომწონს აქ ცხოვრება და ამ ეტაპისთვის კმაყოფილი ვარ ჩემი მდგომარეობით. ჩაფრენისთანავე სულ მალე აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით უქმე დღეები დაემთხვა, ამიტომ ჯერ ისევ საწყის ეტაპზე ვარ და ახლა ვიწყებ სკოლებში პირველ გასვლებს. აქტივობები ჯერ არ მომიმზადებია. ქალაქ რეშიცაში ვიქნები, სკოლებში დავდივარ და აბსოლუტური თავისუფლება მაქვს აქტივობების დაგეგმვის დროს. შემეცნებითი ხასიათის აქტივობებს ვგეგმავთ, ვემზადებით ამისათვის. ადგილობრივ ბავშვებს ვეხმარებით, რომ განივითარონ უნარ-ჩვევები და გაიღრმავონ ცოდნა სხვადასხვა საგნებსა და საკითხებში. თავისუფალ დროს ვგეგმავ რუმინეთის სხვა ქალაქებისა და ღირსშესანიშნაობების მონახულებას, მათი კულტურის უკეთ გაცნობას.

რა მომცა სკოლამ? სოფლის სკოლა ცდილობს თავისი მაქსიმუმი გააკეთოს და შეუწყოს ხელი მოსწავლეებს. ყოველ შემთხვევაში, ჩემს სკოლაზე თამამად შემიძლია ვთქვა ეს, მაგრამ მარტო სკოლის მონდომება არაფერია. სახელმწიფო უნდა აქცევდეს მეტ ყურადღებას სოფელში სკოლებს და დებდეს იმაზე მეტ რესურსს, ვიდრე დებს ახლა".

ლალი ბერელაშვილი ***(არხილოსკალოს სკოლის პედაგოგი):*** „ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე მისი ამბები. უფრო დიდ წარმატებებს ვუსურვებ. ბავშვობიდან ეტყობოდა, რომ წარმატებული იქნებოდა. ძალიან მიზანდასახული და აქტიური ბავშვი იყო. საოცრად კომუნიკაბელური, პასუხისმგებლიანი, მეგობრული- „ღიმილა გოგოს" ვეძახდი და კლასში რომ იყო, მიხაროდა ხოლმე. თბილი, მეგობრული და დამთმობი, თანატოლებთან და სხვა ბავშვებთანაც კარგი დამოკიდებულება ჰქონდა. აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო ღონისძიებებში. საკმაოდ არტისტული მონაცემების მოსწავლე იყო, კარგად ასახიერებდა სხვადასხვა როლებს. აქტიური იყო ჩემს საგანშიც და ზოგადად, ყველა მიმართულებით. ყოველთვის მომზადებული მოდიოდა და თითქმის ყოველდღე დაფასთან იდგა. მოწადინებული იყო, სკოლაში ყოველთვის ჩანდა. ყველა პედაგოგი კარგად ახასიათებს და მისი წარმატების თავიდანვე გვჯეროდა. მათი კლასის ხელმძღვანელი ფილოლოგი დალი ლეკაშვილი გარდაცვლილია და, ვიცი, ძალიან გაიხარებდა მისი მიღწევებით".

ილია მარტყოფლიშვილი

რატომ გაძვირდა ხახვი საქართველოში ?

რამდენიმე დღეა, დედოფლისწყაროს მოსახლეობა ჩივის, რომ ხახვი დეფიციტურ პროდუქტად იქცა. ზოგ მარკეტში მისი შოვნა შეუძლებელია, აგრარული ბაზრის დახლებსა და ზოგ სუპერმარკეტში კი მისმა ფასმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ექსპერტების განმარტებით, ხახვზე ფასის ზრდა საბაზრო ეკონომიკის მთავარ პრინციპს-მოთხოვნა-მიწოდებას დაექვემდებარა.

"ხახვი ორი კვირის წინ 3 ლარად და 50 თეთრად ვიყიდე ბაზარში, ახლა კი 5 ლარი გადავიხადე 1 კილოგრამში. გაოცებული ვარ. არ მახსოვს, ხახვი ასეთი ძვირი ყოფილიყოს"-აცხადებს ერთ-ერთი მომხმარებელი.

ქსელურ მარკეტებში "მაგნიტსა" და "ორ ნაბიჯში" ხახვი დახლებიდან გაქრა. თბილისის ზოგიერთ მარკეტში მისმა ფასმა 7 ლარსაც კი გადაჭარბა. სოფლის მეურნეობის ექსპერტთა შეფასებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, **მარტში ხახვი 110.7%-ით გაძვირდა.**

ოფიციალური მონაცემები, რამდენად გაიზარდა ხახვზე ფასი აპრილში, არ გამოქვეყნებულა, თუმცა დახლებზე ხახვის ფასი საგრძნობლად გაიზარდა და საშუალოდ, 5 ლარს შეადგენს. აგრარულ ბაზრებში გაძვირების მთავარ მიზეზად შემცირებულ იმპორტს ასახელებენ.

მიმდინარე წლის 3 თვეში საქართველომ 2.7 მლნ აშშ დოლარის 7 220 ტონა ხახვი იყიდა, რაც თითქმის არ განსხვავდება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემისგან, 2022 წლის იანვარ-მარტში საქართველოში 2.4 მლნ აშშ დოლარის 7 744 ტონა პროდუქტი შემოვიდა. თუმცა 3-თვიან მაჩვენებელთან განსხვავებით, მკვეთრად არის შემცირებული იმპორტი მარტში. გასულ თვეში საქართველოში 347.9 ათასი აშშ დოლარის 919.7 ტონა ხახვი შემოვიდა, გასული წლის ანალოგიურ თვეში კი, 1.03 მლნ აშშ დოლარის 3 379 ტონა. შედეგად გამოდის, რომ რაოდენობრივად მარტში ხახვის იმპორტი თითქმის 73%-ით შემცირდა.

გაზრდილი იმპორტის ფონზე ხახვის წარმოება საქართველოში მკვეთრად შემცირდა. კერძოდ, ბოლო 8 წლის განმავლობაში, 2014 წლიდან 2021 წლამდე, ხახვის წლიური წარმოება საქართველოში საშუალოდ 1.1 ათასი ტონით შემცირდა. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში ხახვის წარმოება წინა 4 წლის ჯამთან შედარებით, 34%-ით შემცირდა. იმპორტის ანალოგიური შედარება კი 53%-იან ზრდას აჩვენებს. საინტერესოა, რომ ამ პერიოდში წარმოება 19 ათასი ტონით შემცირდა, იმპორტი კი 43 ათასი ტონით გაიზარდა.

საქართველოში ხახვის მწარმოებელი ორი ძირითადი რეგიონია - ქვემო ქართლი, რომელზეც ადგილობრივი წარმოების 35% მოდის და შიდა ქართლი, სადაც ქართული ხახვის ნახევარი მოდის. ორივე რეგიონის ფერმერები მიიჩნევენ, რომ 2021/2022 წელი წარუმატებელი იყო, რაც ძირითადად დაბალ ფასებთან არის დაკავშირებული.

ვაჭრობის მონაცემებით, იმპორტირებული ხახვი ამჟამად გაცილებით მეტი ღირს, ვიდრე წინა წლის ანალოგიურ პერიოდში იყო. ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ გაზრდილ ტრანსპორტირების ხარჯებს.

პროდუქტის მოყვანის ხარჯები საქართველოშიც გაიზარდა. ქართველი ფერმერების წარმატება დიდწილად მოხმარებლის ზრდაზე იქნება დამოკიდებული.

ხახვის საიმპორტო ფასმა 2023 წლის მარტში 3.2 დოლარი შეადგინა, 2022 წელს კი, 2.6 დოლარი.

„საქსტატის" მონაცემებით, წელს საქართველომ პროდუქტი შემდეგ ქვეყნებში იყიდა:

- რუსეთი - 1.6 მლნ აშშ დოლარის 4 249 ტონა
- აზერბაიჯანი - 703.6 ათასი აშშ დოლარის 1 869 ტონა
- თურქეთი - 336.6 ათასი აშშ დოლარის 882.6 ტონა
- ეგვიპტე - 74.5 აშშ დოლარის 216 ტონა
- ნიდერლანდები - 6.3 მლნ აშშ დოლარის 3.6 ტონა

EastFruit-ის ანალიტიკოსები იმპორტისა და ფასების ზრდას საქართველოში ხახვის მცირე მარაგით ხსნიან, ამასთან, მნიშვნელოვანი ფაქტორია ხახვზე მსოფლიო ფასების ზრდა, რის გამოც სხვა ქვეყნები ფრთხილად მოქმედებენ. კერძოდ, ყირგიზეთმა, ტაჯიკეთმა, უზბეკეთმა და ყაზახეთმა ხახვის ექსპორტი აკრძალეს, შეზღუდეს ან ამ საკითხს განიხილავენ.

მოამზადა
ინგა შიოლაშვილმა

„იბანავეთ...კვირაში ერთხელ მაინც"

„იბანავეთ... იბანავეთ!" - მახსენდება პატრიარქის მორიდებული შეგონება: „იბანავეთ... კვირაში ერთხელ მაინც". შეუძლებელია არ დაეთანხმო უწმინდესს...

„ჰიგიენა (ბერძნული სიტყვაა და „ჯანმრთელობის მომტანს" ნიშნავს) – თანამედროვე გაგებით ჰიგიენა პროფილაქტიკური მედიცინის ნაწილია, რომელიც სწავლობს გარემო პირობების გავლენას ადამიანის ჯანმრთელობაზე."

პირადი ჰიგიენის წესები ბავშვობიდან უნდა ისწავლოს ადამიანმა. პირადი ჰიგიენის ჩვევის ჩამოყალიბება მშობლებზეა დამოკიდებული, მათ უნდა აკონტროლონ ბავშვის ჰიგიენა ადრეული ასაკიდან. პირადი ჰიგიენა არ არის მხოლოდ სხეულის და ტანისამოსის სისუფთავე. ადამიანები, რომლებიც დიდ ყურადღებას უთმობენ პირად ჰიგიენას, ცხოვრებენ სუფთა გარემოში, მიირთმევენ სუფთა საკვებს და მაქსიმალურად ცდილობენ სისუფთავე იყოს მათ ირგვლივ, უფრო ჯანმრთელები არიან.. ზოგიერთ ადამიანს ნორმალური კანი აქვს, ზოგს კი – ცხიმიანი ან მშრალი. ყველა შემთხვევაში უნდა დაიბანოს სხეული, მიიღოს შხაპი დილით და საღამოს, ძილის წინ. ასევე უნდა მიაქციოს ყურადღება თმას. ზოგს მოკლე თმა აქვს, ზოგს – მოგრძო, ზოგსაც ძალიან გრძელი. ყველანაირ თმას მოვლა სჭირდება. ზოგ ადამიანს თეთრი კბილები აქვს, ზოგს – მოთეთრო, ზოგსაც – მოყვითალო. ეს კბილის ემალზეა (მინანქარზეა) დამოკიდებული, მაგრამ ყველანაირ კბილს ჯანსაღი ფერი აქვს, თუ მას კარგად უვლი. კბილების გახეხვა საჭიროა ყოველდღე, დილა-საღამოს, საკვების მიღების შემდეგ. ხშირად უნდა შეიცვალოს თეთრეული. ტანსაცმლისა და თეთრეულის სისუფთავე პირადი ჰიგიენის აუცილებელი ნაწილია. ადამიანებმა ჯანსაღი ცხოვრების წესი უნდა დაიცვან. ის ადამიანები, რომლებიც მისდევენ ჯანსაღი ცხოვრების წესს, უფრო ენერგიულები და ხალისიანები არიან. სისუფთავე დადებით ემოციებს უწყობს ხელს. ქრება ინფექციების, ვირუსების და ბაქტერიების გამრავლების საფრთხე, თავს უფრო კარგად და კომფორტულად გრძნობ. ჰიგიენური საშუალებებით შესაძლებელია პირადი ჰიგიენის დაცვა და სისუფთავის შენარჩუნება შენობებში.

მკითხველი ალბათ იფიქრებს, ეს რა დასაწერი და გასაშუქებელი თემაა?! სამწუხაროა, მაგრამ, ჩვენს ირგვლივ ბევრს სჭირდება შეხსენება , რომ ეს ძალიან მტკივნეული და შემაწუხებელი პრობლემაა. ახლავე მოგახსენებთ, ბევრი ფიქრის შემდეგ, რატომ გადავწყვიტე მაინც მეთქვა ჩემი სათქმელი. ამ დღეებში რამოდენიმეჯერ მომიწია ერთ-ერთი ბანკის ოფისში მისვლა. შენობაში შესვლისთანავე ისეთი „სურნელი" დაგხვდებათ, სულ თავბედს გაწყევლინებთ. არ ვაზვიადებ, მართლა შეუძლებელია გაუძლო ამ სუნს და გაჩერდე შენობაში, დაელოდო რიგს. სახეშეცვლილი მომლოდინეები რიგრიგობით გამორბოდნენ გარეთ სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად და ბრუნდებოდნენ უკან, მაგრამ...უმრავლესობა ეზოში ელოდა თავის რიგს, შიგნით უბრალოდ ვერ გაძლო...შენობაში მყოფი პერსონალი? - იკითხავთ თქვენ. მთელი დღის განმავლობაში იძულებულები არიან აიტანონ ეს გაუსაძლისი სუნი, საკუთარი ჯანმრთელობის, დიდი ალბათობით, განადგურების ფასად. დიახ,ზუსტად ესეა, არ ვაზვიადებ.

საკითხს თუ ფართო მასშტაბით განვიხილავთ, ეს მხოლოდ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის პრობლემა არაა. უნდა ითქვას, რომ ის მთელი ქვეყნის მასშტაბით დგას. საზღვარგარეთ, მსგავსი პრობლემა, უმეტეს შემთხვევაში არ გვხვდება. არსებობის შემთხვევაში, კი ამას კანონი არეგულირებს. მაგალითისთვის, „ვაშინგტონის შტატის ქალაქ ბიურიენში მიიღეს კანონი, რომლის მიხედვითაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში უსიამოვნო სუნის მქონე პირთა ყოფნა იკრძალება. ქალაქ ბიურიენის მუნიციპალიტეტის განცხადებით, სადაც 50 ათასი ადამიანი ცხოვრობს, უნდა მოხდეს ქალაქის მცხოვრებთა იზოლაცია იმ პირებისაგან, ვისაც ცუდი სუნი ასდის და ვინც საზოგადოებრივ წესრიგს არღვევს. ახალი კანონის თანახმად, სერიოზული ფულადი ჯარიმა ემუქრებათ იმ მოქალაქეებს, ვინც ჰიგიენური პირობების დარღვევით ქალაქის ბიბლიოთეკაში შევა, ან პარკებსა და სკვერებში ისეირნებს."

ხმამაღალი ნათქვამი არ იქნება, თუ მსგავსი კანონის შემოღებას ჩვენს ქვეყანაშიც მოვითხოვთ. საზოგადოება, რომელიც მსგავსი გაუსაძლისი რეალობის წინაშე დგას, სწორედ კანონის ძალით თუ შეძლებს არსებული გამოწვევებისა თუ პრობლემების მოგვარებას და ჯანსაღი, ჯანმრთელობისთვის სასიკეთო გარემოს შექმნას. პრობლემა კი თვალსაჩინოა, ამიტომ კითხვაზე, ვინმეს ეწყინა თუ ეტკინა არსებულ პრობლემაზე ხმამაღლა საუბარი, პასუხის გაცემაც კი არ ღირს. საკუთარ თვალში დირეს დანახვა, ყველაფერს ნათელს მოჰფენს...მანამდე, კი... აბა, „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?!".

ნათუნა ბენაშვილი

ბიბლიოთეკა 85 წლისაა

გასულ კვირას დედოფლისწყაროში საბიბლიოთეკო კვირეული აღინიშნა. ითქვა, რომ დედოფლისწყაროს ცენტრალურ ბიბლიოთეკას დაარსებიდან 85 წელი შეუსრულდა, ხოლო ზემო მაჩხაანის ბიბლიოთეკას 100, ჯაფარიძის სასოფლო ბიბლიოთეკას კი 90 წლისთავი.

მანანა მაჭარაშვილი: „ჩვენამდე მოღწეული საარქივო მასალებიდან ცნობილია, რომ წითელწყაროში ბიბლიოთეკა 1938 წლიდან მოქმედებს, მისი პირველი დირექტორი იყო **ეთერ ნატროშვილი**. პირველად რომელ შენობაში მოქმედებდა უცნობია, შემდეგ უკვე ამ ფოტოზე გამოსახული შენობა სავარაუდოდ ჩვენი ამჟამინდელი შენობის გვერდით კუთხეში, კაფე „მალონეს“ ადგილზე იყო აგებული. დედაჩემის გადმოცემით ასე მახსოვს. იმხანად სოფლებში ქოხსამკითხველოები იყო, მაგალითად ზემო

მაჩხაანსა და სამრეკლოში ბიბლიოთეკები მანამდე არსებობდა, ვიდრე წითელწყაროში გაიხსნებოდა. ზემო მაჩხაანის ბიბლიოთეკას წელს 100 წელი შეუსრულდა, სოფელ ჯაფარიძეში კი 90 წელი. შემდეგ უკვე მაჩხაანში და ზემო ქედში 4-4 სასოფლო ბიბლიოთეკა მოქმედებდა, არბოშიკში და სოფელ წითელწყაროში 3-3. მას შემდეგ გამსხვილების პროცესი დაიწყესდა ყველა ფონდი შეერთდა. მოქმედებდა მოძრავი ბიბლიოთეკებიც, რომლებიც ძირითადად მშრომელებთან მიდიოდა და წიგნებს გასცემდა. მაშინ ხელისუფლების მხრიდან წახალისებული იყო კითხვა.

ჩემი სტუდენტობის დროს საბიბლიოთეკო ფაკულტეტი ცალკე არ იყო, ამდენად პუშკინის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფილოლოგიურ ფაკულტეტზე ვსწავლობდი და შემდეგ საბიბლიოთეკო განხრით გავაგრძელე. კმაყოფილი ვარ ჩემი არჩევანით, საინტერესო წლები გავიარე საინტერესო საქმეში. 1978 წლიდან მოვედი ბიბლიოთეკაში, რაკი წითელწყაროში ადგილი არ იყო, თავდაპირველად ზემო ქედში სასოფლო ბიბლიოთეკაში ვიმუშავე, ქსნელების უბანში რვაწლიანი სკოლის გვერდით იყო ბიბლიოთეკის შენობა. მოგვიანებით ეს შენობა დაინვა, მაგრამ წიგნადი ფონდი გადარჩა. შემდეგ სოფელ წითელწყაროს ბიბლიოთეკაში გადავედი, 1980 წლიდან კი ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ვმუშაობ. მაშინ ბიბლიოთეკა ახლანდელი „წითელი ჯვრის“ კლინიკის შენობაში იყო განთავსებული, ხელმძღვანელი კი **ლია ფიროსმანაშვილი** იყო. ამ შენობაში ვიწროდ ვიყავით, სრულად ვერ ხერხდებოდა წიგნების განთავსება და 1987 წელს გადმოგვიყვანეს ახლადაშენებული კორპუსის პირველ სართულზე. იქ დიდი ფართი იყო, 240 კვადრატული გვქონდა და სანამ „საქართველოს ბანკის“ განთავსებას მოინდომებდნენ და იძულებით გამოგვასახლებდნენ, ამ დრომდე ვმუშაობდით. შენობის დაცლის შემდეგ კულტურის სახლის მცირე დარბაზში შეგვასახლეს, 3 წელი აყრილი ავეჯითა და ფონდებით დევნილობაში ვიმუშავეთ, 2016 წლიდან კი ამჟამინდელ ახლადრეაბილიტირებულ ოფისში შემოვედით, ახლა 300 კვადრატული ფართი გვაქვს და საუკეთესო პირობებია შექმნილი. 2007 წლიდან გაერთიანების ხელმძღვანელად დავინიშნე და ლია ფიროსმანაშვილი შევცვალე. ამ პერიოდში 38 038 წიგნი ცენტრალურ ბიბლიოთეკას ჰქონდა, ჯამში ჩვენს რაიონში იყო 173 729 წიგნი, დღეისათვის ფონდი საკმაოდ გაზრდილია: 66 315 წიგნი მუნიციპალურ ბიბლიოთეკაში გვაქვს, ჯამში ფონდი 207 289 წიგნს მოითვლის. იყო დრო, როცა სახელმწიფო გეგმას გვიწესებდა, როგორც წიგნის გაცემის, ისე მკითხველის მიღების. კითხვა მეტად წახალისებული იყო, ხალხიც მაქსიმალურად ჩართული იყო, სხვანაირი დამოკიდებულება არსებობდა წიგნისა და კითხვის მიმართ. 1984 წლიდან ყოველწლიურად, ივნისის ბოლოს აღინიშნებოდა საბიბლიოთეკო დღე, შემდგომ საბიბლიოთეკო კვირეული გახდა.

ამ 85 წლიანი ისტორიის მანძილზე ბევრი ადამიანი იყო, რომელმაც წვლილი შეიტანა და იღვაწა. მათი შრომა გახსენებას იმსახურებს. ზემო მაჩხაანში **ეთერ ბერიძე** გამორჩეული ბიბლიოთეკარი იყო, რომელიც ყველას უყვარდა. მირზაანში **ლიზიკო გონაშვილი** – განათლებული და საქმის პროფესიონალი, მისგან ფონდი **ნანა ბაღაშვილმა** გადაიბარა. ოზაანში – **ალექსანდრე გოგილაშვილი,** გამორჩეული პროფესიონალი იყო, აქტიურად მონაწილეობდა თეატრალურ წარმოდგენებში, ნიჭიერი დეკლამატორი გახლდათ, მის გარეშე ოზაანის ბიბლიოთეკა წარმოუდგენელი იყო. ერთხელაც ოზაანის ბიბლიოთეკაში ხანძარი გაჩნდა, ალექსანდრე წიგნების გადასარჩენად ცეცხლში შევარდა. შემდეგ ხალხს ეკამათებოდა, რატომ გადამარჩინეთო. ოზაანში ასევე მუშაობდა **ბაბულია ჭიღიტაშვილი,** ხოლო შემდეგ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გაგრძელა საქმიანობა. არბოშიკში – **ლამარა ჯანიბეგაშვილი** და **ლამარა მაისურაძე,** საკმაოდ ღვაწმლოსილი ქალბატონები იყვნენ, ასევე **ნანა გოგილაშვილი** დღემდე აქტიურია. სოფელ გამარჯვებაში **ლეილა სულაშვილი, ეთერ არაბული**, თავწყაროში – **ნათელა თარაშვილი**; ხორნაბუჯში **ვენერა კიკილაშვილი, ანია დუდჩენკო**; ზემო ქედი – **თამარ ბაშარული, ციური ჭიკაიძე, მანანა ოქრუაშვილი;** არხილოსკალო – **ნინო კოზაიძე, ლამარა ზაქაიძე;** ქვემო ქედი – **თამარა თურმანაული, ნათელა ცაბაურაშვილი, ლამარა მგელაშვილი;** სამრეკლო – **ფარლიზი ზირაქიშვილი, იზოლდი ბენაშვილი, მაყვალა მილაძე;** ცენტრალური ბიბლიოთეკიდან: **ლია ფიროსმანაშვილი, ცირა ალადაშვილი, მერი ნატროშვილი, იზოლდი ჯალიაშვილი, ციცინო ჯანგიძე, მაყვალა პაპაშვილი, ქსენია გარაქლოვა, იზოლდი ზედელაშვილი, თამარ ბოსტოღანაშვილი, ლილი მნათობიშვილი, ანგელინა ღორაშვილი, ჟუჟუნა ჯაგაშვილი, ციური ბენაშვილი.** როცა კომუნისტების დროს ქსელი გაფართოვდა, სასოფლო ბიბლიოთეკებიც მაშინ გაიხსნა. შემდეგ 1990-იან რთულ წლებში ბევრ რაიონს აღარ აქვს სასოფლო ბიბლიოთეკები, ზოგშიც ცოტა შემდგომ, 2000-იან წლებში დაიხურა. ჩვენ გვაქვს სხვა რაიონებთან კავშირი და ვხედავთ, როგორი აბალახებული, ბოქლომდადებული და უპატრონოდ მიტოვებულია სოფლის ბიბლიოთეკები. ჩვენს რაიონში ასეთი რამ არ ხდება, ყველა სოფელში მოქმედი ბიბლიოთეკა გვაქვს. იმ რთულ წლებში კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის **ნელი გობეჯიშვილის** და საბიბლიოთეკო გაერთიანების გამგის **ლია ფიროსმანაშვილის** ღვაწლი დიდია, რომ სასოფლო ბიბლიოთეკები შენარჩუნებულიყო. რომ არა ისინი, შეიძლება სხვა რეალობა გვქონოდა, სწორედ მათი ძალისხმევით მოხერხდა წიგნადი ფონდის შენარჩუნებაც და შენობების დაცვაც. პანდემიის შემდეგ შენობის გარეშე დარჩენილ ორ სოფელშიც გამოინახა ახალი ფართი და სოფელ სამთაწყაროსა და მირზაანის სასოფლო ბიბლიოთეკები ახალ სივრცეში გადავიდნენ.

ქ. წითელწყაროს ბიბლიოთეკის ძველი შენობა

ამჟამად ცენტრალურ ბიბლიოთეკაში წიგნის დაცვის საქმეს და მკითხველს ემსახურებიან: **მარგო იაკობიშვილი, ცეცელო ჯანაშვილი, თინათინ სულაშვილი, ზაირა კაისაძე, მანანა ჯანაშვილი, თინათინ ელაშვილი, ლია ქადაგიძე,** ცალკე აღნიშვნის ღირსია მხატვარი **მანანა ინაშვილი,** რომელიც ჩვენი დარბაზის გაფორმებაზე მუდმივად ზრუნავს.

წიგნის და გაზეთის კითხვის პრობლემა XXI-ე საუკუნის მთავარი გამოწვევაა, მაგრამ კომპიუტერებისა და ციფრული ტექნოლოგიების შემქმნელებიც და ყველა მეცნიერის გონებაც ხომ სწორედ წიგნიერებამ და კითხვამ განავითარა. მკითხველი შემცირდა, მაგრამ არიან ოჯახები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი მომავალი თაობების სწორად აღზრდის საქმეში, შვილებს ბიბლიოთეკებში მოჰყვებიან და წიგნის კითხვას აჩვევენ. ჩვენ ძალიან ვაფასებთ ამას, მნიშვნელოვანია, როცა მშობელი უბიძგებს ამას. ყველა სიბნელე გაუნათლებლობიდან მოდის, უსწავლელობა დამღუპველია ერისთვის. დღემდე ვნანობ, თუ რაიმე არ ვისწავლე... **დღეს ყველაფერს სკოლასა და სახელმწიფოს აბრალებენ, მაგრამ ავიწყდებათ, რომ ბავშვები ჯერ ოჯახმა უნდა მიიყვანოს წიგნთან და შემდეგ ჩვენც, სკოლაც დავეხმაროთ ამ პროცესში.** მშობლებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ჩაცმა-დახურვაზე და ქონებაზე მნიშვნელოვანი მათთვის განათლების მიცემაა. განათლება თავისუფლებაა და განათლებული ადამიანი უკეთესად იცხოვრებს“.

სამკითხველო დარბაზი

ცეცელო ჯანაშვილი: „ნახევარი საუკუნეა ამ საქმეს ვემსახურები. 1970 წელს თბილისის საბიბლიოთეკო ტექნიკუმში ჩავაბარე. ბავშვობიდან წიგნები ძალიან მიყვარდა. სახლშიც და სკოლაშიც სულ წიგნებში ვიყავი. ზემო მაჩხაანის სკოლის ბიბლიოთეკარს ანეტას დიდი წვლილი აქვს იმაში, რომ წიგნი შემიყვარდა. ასევე ხშირად მივდიოდით მირზაანის სასოფლო ბიბლიოთეკაში. მირზაანის ბიბლიოთეკარი ლიზა გონაშვილი იმხელა სითბოს და სიყვარულს გვაჩვენებდა, რომ რატომღაც გული სულ მირზაანში მიმიწევდა და ხშირად ვსტუმრობდი, ღონისძიებებშიც აქტიურად ვმონაწილეობდი. რაღაც განსაკუთრებული მიდგომა ჰქონდა ბავშვების მიმართ. წლები გავიდა და მრავალი წელია მე ვმუშაობ საბავშვო ბიბლიოთეკაში. როცა ბავშვები მოდიან, ხშირად წარმოვიდგენ ხოლმე ჩემი და ლიზას ურთიერთობას და მინდა ვთქვა, რომ ის ჩემთვის საუკეთესო მაგალითად დარჩა. მინდა მეც ისე შევაყვარო ბავშვებს თავი და წიგნები, როგორც ის გვინერგავდა. საუკეთესო პერიოდი იყო, ლამაზად დარჩა ჩემს მოგონებებში. 1973 წლიდან ტექნიკუმის დამთავრებისთანავე მუშაობა დავიწყე წითელწყაროს მოძრავ ბიბლიოთეკაში, შემდეგ მცირე ხნით გადავედი გამარჯვების სასოფლო ბიბლიოთეკაში, მალევე წითელწყაროს საბავშვო ბიბლიოთეკაში და მას შემდეგ ასე მოვდივარ. „გაზიკი“ გვყავდა, მძღოლი იყო **ამბერკი ტოკლიკიშვილი,** შევკრავდით წიგნებს, დავაბარგებდით და მივდიოდით მინდვრად და სოფლებში. ძირითადად ტარიბანაში, ღვინის, კირის, ნავთობის ქარხნებში დავდიოდით, ყანაში მომუშავე ადამიანებს ვუწერდით წიგნებს, იტოვებდნენ და შესვენებებზე, ან სახლში მიჰქონდათ. რაღაც პერიოდის შემდეგ აბრუნებდნენ. მაშინ იმდენად დიდი მოთხოვნა იყო წიგნზე, რომ გაცემას ვერ ვასწრებდით, მართლა უამრავი მსურველი იყო. მთელი ცხოვრება წიგნებია ჩემი საზრუნავი. მაღაზიაში რომ შევიდოდი, შეიძლება ტანსაცმლისა და საკვებისთვის, ან სხვა ფასეულობებისთვის ყურადღება არც მიმექცია, მაგრამ სულ წიგნებს ვათვალიერებდი, ვყიდულობდი, ან ვიწერდი. 1000-ზე მეტი წიგნი მაქვს სახლში და შვილებს გავუნაწილე. სულიერ საზრდოს ვუტოვებ, მარტომ გავზარდე შვილები, ქონება ვერ დავუტოვე, მაგრამ ვეცადე კითხვა შემეყვარებინა. დღევანდელი გადასახედიდან ვფიქრობ, ჩემმა პროფესიულმა არჩევანმა გაამართლა. მეტი ურთიერთობა მაქვს წიგნთან და ბავშვებთან, ეს პროცესი კი უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. სიყვარულს ვგრძნობ და ეს ენერგიით მავსებს. **დღეს კითხვის პრობლემა დადგა, ინტერნეტმა დაიპყრო მსოფლიო. მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ წიგნი გაცილებით სანდოა და უფრო ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციაა, ვიდრე ინტერნეტში. გული მწყდება, რომ ბავშვების დიდ ნაწილს ილუსტრირებული და მაღალპოლიგრაფიული ტექნოლოგიებით გამოცემული წიგნები იზიდავს, შავ-თეთრი, ძველი წიგნები აღარ აინტერესებთ. ამაზე უნდა ვფიქრობდეთ!** ამ დროს ოჯახების როლი მნიშვნელოვანია, მშობლებმა უნდა დაარეგულირონ ეს პროცესი. მიხარია, როცა ბიბლიოთეკაში დედებს, ზოგჯერ მამებსაც მოჰყავთ ბავშვები და წიგნების შერჩევაში ეხმარებიან. საბედნიეროდ, ასეთი შემთხვევებიც გვაქვს, ეს იმედს გვაძლევს“.

ილია მარტყოფლიშვილი

იპოვე საკუთარი თავი

გაგრძელება... (დასაწყისი იხ.№13)

სოციოლოგის გურკოს თვალით

ყველამ ვიცით, რამდენად დიდია ადრეული ქორწინებების რიცხვი ჩვენში, მაგალითად, ქალების 30 პროცენტი 20 წლის ასაკამდე, ხოლო მამაკაცების 49 პროცენტი 23 წლამდე ქორწინება (ზოგიერთ ქვეყანაში მამა კაცების საქორწინო ასაკი უფრო სოლიდურია 27-30 წელი, როდესაც ქმარს უკვე შუძლია ოჯახის რჩენა). რამდენად ხშირია განქორწინებები ამ ახალგაზრდულ ასაკში, ესეც ცნობილია. მათ შორის, ვინც ოც წლამდე ქორწინება, განქორწინებათა რიცხვი გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე უფრო გვიან დაქორწინებულებში.

რატომ ქორწინდებიან ადამიანები?- უცნაური კითხვაა, არა? სიყვარულის გამო, რა თქმა უნდა, მაგრამ მართლა ასეა? შეიძლება ეჭვი შეგეპაროს ამაში, რადგან იბადება კითხვა - იქნებ, სიყვარულში სულ სხვა რამეს ხედავენ ნორჩი მექორწინეები?

აი, რას წერს ამის თაობაზე გერმანელი მეცნიერი რ.ბორმანი. ადრეული ქორწინების თავიდან აცილების ერთ-ერთ ძირითად გამოსავლად ახალგაზრდების სქესობრივი ურთიერთობის ლეგალიზაციას მიიჩნევენ. ისინი ფიქრობენ, რომ ესაა ყველაზე სასურველი ფორმა, რათა თავიდან ავიცილოთ ზნეობრივი წინააღმდეგობები, რომლებიც მათ ხვდებათ სქესობრივი ცხოვრების გზაზე.

პარტნიორები წინდაწინ სწორად ვერ განსაზღრავენ ადრეულ ქორწინებას. მათ მისწრაფებაში ქორწინებისაკენ კი სავსებით დასაშვებია ეჭვის შეტანა, რადგან თვით მათი დამოკიდებულება ოჯახის და ქორწინებისადმი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

რა თქმა უნდა, ადრეული ქორწინებაც შეიძლება დაგვირგვინდეს წარმატებით იმ შემთხვევაში, თუ მეუღლეები გრძნობენ ერთმანეთის მხარდაჭერას დასახული მიზნების მიღწევაში, თუ ბავშვები სასურველნი არიან, თუ ყოველგვარი სიძნელეები გადაილახება.

რაში გამოიხატება ადრეული ქორწინების ნაკლოვანებები? – ყველაზე ხშირად მატერიალურ გაჭირვებასა და უბინაობაში. ახალგაზრდები იმიტომ ქორწინდებიან, რომ გახდნენ დიდები და დამოუკიდებლები, მაგრამ სინამდვილეში უფრო მეტად ხდებიან დამოკიდებულებულნი მშობლებზე. ქმრის ხანგრძლივი შინ არყოფნა ჯარში სამსახურის გამო, სხვადასხვანაირ ზემოქმედების ახდენს ახალგაზრდა წყვილის ურთიერთობაზე. საზღვარგარეთული გამოკვლევები გვიჩვენებენ, რომ თუ ერთ-ერთი მეუღლე განაგრძობს სწავლას, მეორე კი -არა, ქორწინების ბედი ძალიან ხშირად წარუმატებელია.

აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ახალგაზრდულ ასაკში გოგონები და ვაჟები განსაკუთრებით ღრმად განიცდიან თავისუფლების შეზღუდვას, ეკონომიკურ ხელმოკლეობას. ოჯახური პრობლემების გადაწყვეტაში გამოუცდელნი არიან, რთულად ამყარებენ ერთმანეთთან სულიერ კონტაქტებს, ძნელია მიიღონ მეორე ადამიანი ისეთად, როგორიც ის არის სინამდვილეში.

დაფიქრდით, ოც წლამდე უმჯობესია ქორწინებისაგან თავი შეიკავოთ.

მედიკოსის თვალით

– 17 წლის ასაკამდე ქორწინებას თვლიან ნაადრევად. ამ ასაკის ქალიშვილებს სიყვარული მალე დაეკარგებათ და დაეუფლებით პროტესტის გრძნობა. რატომ?

– ამ კითხვის პასუხი დავიწყოთ იმით, რომ სანამ გოგონა გათხოვების დააპირებდეს კარგად უნდა იფიქროს იმაზე თუ რამდენად შესძლებს იგი იყოს მეუღლე, დედა და დიასახლისი ყოველივე ამ ტვირთის ზიდვას ხომ, უპირველესად ყოვლისა, სჭირდება ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მომზადება, რასაც ასაკი განაპირობებს.

– ქალის ფიზიოლოგიის შემსწავლელი მეცნიერება დაბეჯითებით ამბობს, რომ გოგონას ასაკის მხოლოდ რიცხობრივი მომატება როდია საკმარისი? საჭიროა აგრეთვე ქალის ორგანიზმის ჰორმონალური ბალანსირება, სწორედ ეს უკანასკნელი განაპირობებს ლამაზ მიმოხვრას, სურვილს მოსწონდეს ვიღაცას, უყვარდეს და იყოს სხვისი სიყვარულის წყაროც.

– გოგონაში იღვიძებს ქალი, ის ემზადება დედობისათვის. ქალის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და ასთოლოგიური პროცესების ღრმა შესწავლისათვის საჭიროა განვიხილოთ მისი ცხოვრების პერიოდები, რადგან ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე ქალის ორგანიზმის ორგანოთა სისტემის ფუნქციური აქტივობის თავისებური დონე აქვს. ქალის ცხოვრების პერიოდებია:

1. ფეტალური პერიოდი - ინტენსიური ზრდისა და დიფერენცირების ხანა, რომლის დასასრულს ხანგრძლივი ონტოგენეზური პროცესის შედეგად სიცოცხლის უნარიანი ორგანიზმი ჩამოყალიბდება.

2. ახალშობილობის პერიოდი - რომელიც გრძელდება ნაყოფის დაბადებიდან, სიცოცხლის 6-7 კვირამდე, ამ პერიოდში ახალშობილი ეგუება სუნთქვის სისხლის მიმოქცევისა და კვების ახალ პირობებს.

3. ბავშვობის ასაკი - ორი თვიდან 10 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში მენსტრუაციული ფუნქცია არ ვითარდება. ამიტომ ვაჟი და გოგონა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მათი სასქესო ორგანოების აგებულობის, გარეგნობით მცირედად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

4. სქესობრივი მომწიფების პერიოდი -10 დან 16 წლამდე. ამ ხნის განმავლობაში ქალი კი არ ყალიბდება, მას გარეგანი და შინაგანი სასქესო ორგანოები უვითარდება. სქესის თვისებები თანდათანობით ვლინდება და იწყება პირველი მენსტრუაციის ჩამოყალიბება.

5. მოწიფულობის პერიოდი - ამ პერიოდის ხანგრძლივობა 30 წელიწადია.

6. კლიმაქსის პერიოდი რომელიც იწყება 45 წლიდან და გრძელდება რამოდენიმე თვიდან 3 წლამდე.

7. მენოპაუზის პერიოდი - გრძელდება 47-55 წლამდე. ამ პერიოდში საკვეცხეები მცირე ზომისანი ხდებიან. მათში შესაძლებელია იყოს ფოლიკულები, რომლებიც ვერ აღწევენ მომწიფებას და უკუვითარდებიან, მენოპაუზის შემდგომი, ანუ მოხუცებულობის პერიოდი-რომელიც გრძელდება ღრმა მოხუცებულობამდე.

– ქალის ცხოვრების ცალკეული პერიოდის ასაკის რიგი თავისუფლებანი მნიშვნელოვანია, როგორც თეორეული ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. სასქესო ორგანოების ფიზიოლოგია მჭიდროდაა დაკავშირებული ორგანიზმის მთლიანობასთან და გარემოს უშუალო ზეგავლენის განიცდის, ეს კავშირი კი ცენტრალური და ენდოკრინული სისტემით ხორციელდება როგორც ზემო აღნიშნულიდან გამომდინარეობს სქესობრივი მომწიფების პერიოდი გრძელდება 7-8 წლის განმავლობაში, რომლის დროსაც ქალის ორგანიზმი ანატომიურად და ფუნქციონალურად ემზადება ბავშვის დაბადებისათვის. იბადება კითხვა. რა მოჰყვება ნაადრევ ქორწინებას? ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს უნაყოფობას, ორსულობის ბოლომდე მიუტანლობას, მშობიარობის ბიომექანიზმის დარღვევას, ნაყოფის სხვადასხვა სახის სიმახინჯეებს. ანთებითი და შეხორცებითი პროცესების განვითარებას. და ნუ მიწყენენ პატარა ქალბატონები-ნაადრევ სიბერესაც იწვევს, რასაც სწორედ ენდოკრინული სისტემის მოშლილობა განაპირობებს.

– 17 წლის ასაკის ქალი მეანის თვალსაზრისით მზადაა გახდეს დედა, მეუღლე, მეგობარი, მას შესწევს უნარი იყოლიოს მრავალი შვილი ჩვენი მცირერიცხოვანი ერის გასამრავ ლებლად.

– იქამდე კი ნუ იჩქარებთ.

იურისტის თვალით

– საქართველოს რესპუბლიკის განსაზღვრავს საქორწინო ასაკს,რომლის მიხედვითაც ქორწინება დაიშვება 18 წლის ასაკიდან. .

– საქორწინო ასაკის და წესებისას გათვალისწინებული იქნა არა მარტო ის, რომ ამ მომენტისათვის ადამიანი უნდა იყოს სქესობერივად ყოველმხრივ მომწიფებული, არამედ ისიც, რომ პიროვნება ფსიქოლოგიურად და სოციალურად მზად უნდა იყოს შექმნას ოჯახი, წარმართოს საერთო მეურნეობა, აღზარდოს შვილები და ა.შ.

- საქორწინო ასაკს მიუღწეველ პირებს შორის შეიძლება ადგილი ჰქონდეს ნებაყოფლობით სქესობრივ კავშირს, რომელიც იწვევს სამართლებრივ შედეგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გოგონას არ მიუღწევია სქესობრივი სიმწიფისათვის.

ბესიკ გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

გომბორის გზას რეაბილიტაცია უტარდება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ კახეთის რეგიონში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვაზიანი-გომბორი-თელავის საავტომობილო გზის 33.6 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოებს აქტიურად მიმდინარეობს.



„გომბორის გზა მოძრაობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა. ამ გზით სარგებლობენ როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე ქვეყნაში შემოსული ტურისტები. გზის დაზიანებული, დამეწყრილი და დეფორმირებული ადგილები მოძრაობის უსაფრთხოებასა და კომფორტულ გადაადგილებას ვეღარ უზრუნველყოფდა, რის გამოც დაიგეგმა გზის რეაბილიტაციის პროექტი“, — აცხადებენ საავტომობილო გზების დეპარტამენტში.

მათივე ცნობით, პროექტის შესაბამისად, გათვალისწინებულია გზის სავალი ნაწილის სრული რეაბილიტაცია, ასფალტ-ბეტონის საფარის დაგება, ექვსი ხიდის რეაბილიტაცია, ახალი წყალგამტარი მილებისა და რკინაბეტონის ქვედა და ზედა საყრდენი კედლის მოწყობა. ასევე, გატარდება მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები, შეკეთდება ტროტუარი, მიერთებები და ადგილობრივი შესასვლელები, მოეწყობა მოსახლეობის ეზოებში შესასვლელები, ავტობუსის გასაჩერებელი მოედანი და ავტოპავილიონი, ჩატარდება საგზაო ნიშნების მოწყობისა და გზის ჰორიზონტალური მონიშვნის სამუშაოები.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 66 700 000 ლარით ფინანსდება. სამუშაოების დასრულება 2024 წლის შემოდგომზე იგეგმება.

მოზარდებმა საარჩევნო პროცედურები შეისწავლეს

იმიტირებული არჩევნები მოაწყვეს სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

სამოქალაქო კლუბის მიერ შექმნილი პროექტი „ჩემი პირველი არჩევნები“ **USAID**-ის სამოქალაქო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. მოზარდები დედოფლისწყაროს საოლქო-საარჩევნო კომისიის ოფისს ეწვივნენ და მათი მუშაობის პროცესს ადგილზე გაეცნენ.

მოსწავლებმა მოისმინეს ლექცია არჩევნების შესახებ. საკითხები შეეხებოდა საარჩევნო პროცედურებს, ისტორიასა და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობას, თუ რამდენად გადამწყვეტია თუნდაც ერთი მოქალაქის ხმა. შემდეგ კი მათ ფარულ კაბინაში თავად შეავსეს ბიულეტენები და საარჩევნო ყუთში მოათავსეს.

„იმიტირებული არჩევნების პროცესს აკვირდებოდნენ საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები. პროექტის სისრულეში მოყვანისთვის და მხარდაჭერისთვის სამოქალაქო კლუბის წევრები უდიდეს მადლობას ვუხდით საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს ბატონ დავით ნასრაშვილს. საარჩევნო უბანი, კომისია, მარკირების სითხე, ფარული კენჭისყრის კაბინა, საარჩევნო ყუთი. ეს ყველაფერი რეალური იყო,“ – აღნიშნავს პედაგოგი მარიკა პოპიაშვილი.

ხსოვნა

ქრისტინე ბოსტოღანაშვილი–ბოსტაშვილი

დედა, 5 წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, დრო მკურნალიაო, მაგრამ ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები ყველას. ყველაფერს აკლია შენი სითბო, სიყვარული და ხელი. ყველაფერი შეიცვალა, აღარავინ დაგვხვდება ოჯახში ღიმილით, არავინ შემოგვეგებება და გაიხარებს ჩვენი მისვლით. ჩვენო მშრომელო, დაუღალავო, ამაგიანო ოჯახზე, შვილებზე და შვილიშვილებზე თავდადებულო დედავ და ბებიავ. შენს გარშემო სულ ღიმილს და სიკეთეს აფრქვევდი, გიხაროდა სიკეთის გაკეთება.

ნათელში იყავი ჩვენო კეთილშობილო დედავ და ადამიანო.

შენი შვილები:
თამრიკო, ნათელა, გია ბოსტაშვილები ოჯახებით

„ნახატში გადამაქვს ჩემი შინაგანი განწყობა“



ქვემო ქედში მცხოვრები 61 წლის ნოდარ დარძულის შემოქმედება გულგრილს არავის ტოვებს. ის, ძირითადად, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობითაა დაკავებული, პარალელურად კი შემოქმედებით მუშაობას ეწევა. ბავშვობის გატაცების რეალიზება მოახდინა, თუმცა, მხოლოდ ნაწლობრივ. დღეს ის გაზეთ „შირაქის“ სტუმარია.

ნოდარ დარძული: „ბავშვობიდან მაინტერესებდა მხატვრობა. ვხატავდი და ხშირად ვძერწავდი. სხვათაშორის, სულ მაქებდნენ და ამან სტიმული მომცა. ხშირად, სოფლის ბიბლიოთეკიდან წიგნები გამომქონდა და ძველი მხატვრების ნამუშევრებს ვაკვირდებოდი. შუა საუკუნეების მხატვრობა მხიბლავდა. მიქელანჯელო, ლეონარდო, რუბენსი, რაფაელო – ჯოკონდამ ჩემზე დიდი გავლენა მოახდინა. იმდენად დიდი ინტერესი გამიჩინა, ამის გამო პორტრეტებს ხშირად ვხატავდი. სკოლის შემდეგ საბჭოთა ჯარი მოვიხადე და შემდეგ ვისწავლე. სკოლიდანვე ვხატავდი, შუქჩრდილებისა და დეტალების გამოყვანა კარგად შემეძლო. ამიტომაც თოიძის სახელობის ტექნიკუმში ჩავაბარე და ხუროთმოძღვრული ძეგლების რესტავრაცია შევისწავლე. იქ მყავდა ოსტატი იურა ფიფია. მან მასწავლა პორტრეტების, პეიზაჟებისა და ნატურმორტის ხატვა. სულ გვიმეორებდა, რომ ჩვენს ნამუშევრებზე ცუდი არ გვეფიქრა. „თუ თქვენი ნამუშევრები არ მოგწონთ, ფარხმალი არ დაყაროთ, ბევრი იმუშავეთ, განვითარდით და დაიხვეწებითო.“

– პროფესიული კუთხით არ გიმუშავიათ?

– სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ქალაქ წითელწყაროს მესამე სკოლაში ხატვის მასწავლებლად დავიწყე მუშაობა. ამ პერიოდს კარგად ვიხსენებ, კარგი კოლექტივი იყო. წელიწადზე მეტი ვიმუშავე. შემდეგ რუსეთში წავედი, არქიტექტურულზე სწავლის გაგრძელება მინდოდა. არ გამიმართლა და მალე ქედში დავბრუნდი. თიანელ ქალზე დავქორწინდი. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო მეუღლე მალე გარდამეცვალა და 12-14 წლის ბიჭები ობლად დამიტოვა, შვილებს ვზრდიდი და საკუთარ განვითარებაზე ველარ ვიზრუნე. ოჯახური ტვირთი დამაწვა, საჭმლის კეთება იყო, დარეცხვა, თუ სხვა რამ, ყველაფერს მარტო ვუმკლავდებოდი. რთული წლები დაემთხვა ქვეყანაშიც. ამიტომ ვენახებშიც დავდიოდი სამუშაოდ, სახლებსაც ვარემონტებდი. ხატვით თავს ვერ ვირჩენდი. არც მიცდია ჩემი ნამუშევრების გაყიდვა. ყველა ნახატი საკუთარი შვილებივითაა და ვერ ვიმეტებ გასაყიდად. წლების მანძილზე მხოლოდ 1-2 ნახატს შეველიე. აღარც პედაგოგობა მიცდია, რადგან ძალიან დაბალი ხელფასები იყო და ამით ობოლ შვილებს ვერ გავზრდიდი.

– რა დროს ხატავთ, რა არის თქვენთვის ინსპირაციის წყარო?

– უქმად როცა ვარ, გული არ მითმენს, ვჯდები და ხატვას ვიწყებ, დროსაც ვკლავ და თან ნამუშევარი ისტორიას დარჩება. განწყობა მჭირდება, რომ ვხატო, შეიძლება დაღლილი ვიყო, მაგრამ საქმეს შევეშვა და ხატვა დავიწყო, მაგრამ მის გარეშე ვერაფერს ვქმნი.სასიამოვნო პროცესია ხატვა, მავიწყებს ყველაფერს და მხოლოდ ნახატზე ვფიქრობ. ესეც ერთგვარი სიამოვნებაა, გავიწყდება პრობლემებიც, გაჭირვებაც, ტკივილიც და საკუთარ სამყაროში ხარ. ხატვა ადვილი სულაც არ არის, გარკვეული წესები უნდა დაიცვა. ცხადია ჩანაფიქრი თავიდანვე მაქვს, მერე ვქმნი ესკიზს და ვაგრძელებ ხატვას. უნდა ითქვას, რომ თავდაპირველი ჩანაფიქრი ხატვის პროცესში არასოდეს შემიცვლია. ძირითადად ფერწერასა და ზეთში ვხატავ ტილოზე. ყველა ნახატი მიყვარს, თითოეულს თავისი ისტორია აქვს. როგორც მომღერალი გამოხატავს სიმღერით საკუთარ განცდებს, ისე მე ნახატში გადამაქვს ჩემი შინაგანი განწყობა.

– რა მოგცათ ოჯახმა?

– მამაჩემი სახალხო მთქმელი გიორგი დარძული დურგალი იყო, მან მასწავლა ხეზე მუშაობა. თავდაპირველად გრეხილებს დავაკვირდი და ასე ვისწავლე, ვცადე და გამოვიდა. ბავშვობისას ხაზვაც მეხერხებოდა და ეს უნარები ძალიან გამომადგა. დიდი ნებისყოფა სჭირდება, მაგრამ ძალიან მომწონს ეს პროცესი. როცა აღარც ვენახში სამუშაო იყო, ბოლო წლებში ხეზე მუშაობაც დავიწყე და ნივთებს ვამზადებ. ჯერ მხოლოდ ოჯახისა და

ახლობლებისთვის და შემდგომში შეკვეთებიც თუ იქნება, ვნახოთ.

დედაჩემი ქარგავდა, ხალიჩებსა და ფარდაგებს ქსოვდა. ორნამენტებსაც თავად იგონებდა. არ უსწავლებია, მაგრამ მუშაობის დროს მასაც ვაკვირდებოდი ხოლმე.

– გქონიათ თუ არა გამოფენები? თუ ცდილობთ შემოქმედების საზოგადოებისთვის წარდგენას?

– 1990-იან წლებში მქონდა გამოფენა თბილისში, სადაც საქართველოს თვითნასწავლ მხატვართა დიდი გამოფენა გაიმართა. კულტურის სახლიდან დამპატიჟეს, რომ წამეღო ნამუშევრები. 8 ნახატი წავიღე, ორი საუკეთესო შეირჩა და გამოიფინა. მას შემდეგ აღარავის მივუწვევივარ გამოფენებზე, არც მე მიცდია. შემდეგ ქვემო ქედის კულტურის სახლში იყო გამოფენილი.

ტანსაცმელი ყავისფერი მიყვარს, მაგრამ ხატვის დროს თბილი ფერები უფრო მომწონს. ყვითელი, წითელი, კრემისფერი, თეთრი... ცივი ფერები არ მიყვარს.

– თქვენი შვილები, ახალგაზრდები, რამდენად იჩენენ ინტერესს ხელოვნების მიმართ?

– ჩემი ორივე ვაჟი ძალოვან სამსახურშია, მათ ხატვა არ აინტერესებთ და სხვა გზა აირჩიეს. ოღონდ ვინმეს აინტერესებდეს და სიამოვნებით ვასწავლიდი, ავუხსნიდი ყველაფერს, მაგრამ ახალგაზრდებში ინტერესი ნაკლებია. ძალიან მინდა შემოქმედებით საქმეს ბევრი ახალგაზრდა ეკიდებოდეს. თუ ვინმე მოვა და სურვილს გამოთქვამს, გამიხარდება კიდეც.

ილია მარტყოფლიშვილი





არ მოწიო!

დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის მე-7ბ კლასში თამბაქოს მავნებლობის შესახებ იმსჯელეს. კლასის დამრიგებელმა, ლალი ნატროშვილმა ჩაატარა კლასისსაათი თემაზე: „თამბაქოს მავნებლობა“, სადაც ამავე სკოლის ექიმი – შორენა ღვინიაშვილი მონაწილეობდა. ექიმი მოსწავლეებს თამბაქოს მავნებლობაზე, მისგან გამოწვეულ დაავადებებსა და ჯანსაღი ცხოვრევრების წესზე ესაუბრა. მოსწავლეებმა მოისმინეს მედიკოსის საუბარი, გამოთქვეს მოსაზრებები და აღნიშნეს, რომ თამბაქოს მოწევა ვნებს, როგორც მწეველის ორგანიზმს, ისე გარშემო მყოფთა ჯანმრთელობასაც უქმნის საფრთხეს. გაკვეთილზე მოიყვანეს არაერთი ცხოვრებისეული მაგალითი პრაქტიკული გამოცდილებიდან.

„როგორც კლასის დამრიგებელმა, მოსწავლეთა ასაკისა და ინტერესებიდან გამომდინარე შევარჩიე თემა „თამბაქოს მავნებლობა“. მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მათი ასაკისთვის საინტერესო თემა იყო შერჩეული და სპეციალისტთან საუბრის შემდეგ ღრმად დაფიქრდებიან თამბაქოს მავნებლობაზე და სურვილიც აღარ გაუჩნდებათ მისი გამოყენების. ჩვენი მიზანიც სწორედ ეს იყო,“ – უთხრა „შირაქს“ ლალი ნატროშვილმა.

ამინდი

დედოფლისწყარო

	ორშაბათი 01.05	სამშაბათი 02.05	ოთხშაბათი 03.05	ხუთშაბათი 04.05	პარასკევი 05.05	შაბათი 06.05	კვირა 07.05
დღე	17°	16°	17°	18°	20°	22°	22°
ღამე	6°	6°	7°	8°	10°	10°	10°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ილია მარტყოფლიშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი